საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 28 აგვისტო, 2014 წელი.

№172 (7553)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილის მთავარი შეცდომა...

3

როგორ შვა სიძემ ბიზნესმენი სიმამრი

5

თითქმის დაუჯერებელი...

ამბავი, რომელმაც წლების წინათ მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა...

12

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხარო-დენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენ თანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვშევ სულთა ჩვენთა. ამინ.

გილოცავთ მარიამობას!

ევროკავშირის ანტირუსული სანქციები და საქართველო

6 7

ყველაფერი ყველაფერზე

ოდუბალი სამყარო

9

დედაქალაქი

თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი არასწორად დაგეგმილი და არარეალურად მაღალი იყო

3

28 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამობას დღესასწაულობს.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მოციქულთა მსგავსად, სიტყვით და საქმით, მხურვალე ლოცვით განამტკიცებდა ქრისტიანულ სამყაროს, ჩვენს დედაეკლესიას. ქრისტიანები დედა ღვთისმშობელს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ამიტომ მის ყოველ სიტყვა-საქმეს იმახსოვრებდნენ, ქალწული მარიამის ხასიათის და გარეგნობის აღწერაც კი შემოგვინახეს...

ყოვლადწმინდა ქალწულის სახე, რომელიც ქრისტეს მოწაფემ, მახარებელმა და მოციქულმა ლუკამ დახატა, დღემდეა შემონახული. გადმოცემით, დედა ღვთისამ, შეხედა თუ არა თავის გამოსახულებას, თქვა: „მადლი და წყალობა ძისა ჩემისა ახლავს ამ ხატს“.

ქრისტიანულ სამყაროში ყოვლადწმინდა სამების შემდეგ იდიდება მარიამ ღვთისმშობელი, რადგანაც იგი ქერუბიმებზე უპატიოსნესია და სერაფიმებზე აღმატებული. უდიდეს ათორმეტ დღესასწაულთაგან სამი — ღვთისმშობლის მიძინება, შობა, ტაძრად მიყვანება — უშუალოდ დედა ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი.

* * *

ზეციური ბჭე გახდა ღვთისმშობელი, ის არის ჩვენი სულების მხსნელი. საქართველოს გადაარჩენს ყოვლადწმინდა ქალწულის საფარველი, მისი კვართი და სარტყელი. მისი მადლით გაბრწყინდება საქართველო!

ილია II

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..



ირაკლი ღარიბაშვილი მუცოს ხეობაში

როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, მუცო ჩვენი სიამაყე, უნიკალური ციხე-ქალაქი, რომელსაც ოდითგანვე ხევსურეთისა და საქართველოს დარაჯს უწოდებდნენ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, განახლებას ელოდება.

მთავრობის მეთაური სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო და მუცოში მცხოვრები ერთადერთი ოჯახის უფროსს გაესაუბრა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ნუგზარ დაიაურს განუმარტა, რომ ყველაზე რთულ მდგომარეობაში მყოფ ციხე-სახლებს რეაბილიტაცია წლის ბოლომდე ჩაუტარდება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, ძეგლი ინტენსიურად ინგრეოდა და საქართველოს ძეგლთა შორის ყველაზე კრიტიკული მდგომარეობით გამოირჩეოდა, თუმცა, ხელისუფლებამ მუცოს რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრები გამონახა.

მან მადლობა გადაუხადა ნუგზარ დაიაურს, რომელიც 3 წელია, ოჯახთან ერთად მუცოს ფერდზე ცხოვრობს და ძეგლის ერთადერთი მცველია.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, მომავალი წლისთვის დაგეგმილია ელექტროსადგურის მოწყობა, რომელიც 2015 წლის სეზონიდან მუცოსთვის დენის მომარაგების უწყვეტი წყარო გახდება.

„რომ იტყვიან, სულზე მივუსწართ და დავიწყეთ აღდგენითი სამუშაოები. წლის ბოლომდე, ვიდრე ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობები საშუალებას მოგვცემს, ჩვენ მოვასწრებთ პირველადი სამუშაოების ჩატარებას. მოვიწვიეთ საუკეთესო სპეციალისტები, რათა პირვანდელი სახე შეინარჩუნოს ძეგლმა. ხარისხი უნდა იყოს უმაღლესი, ყველა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოსული“, — განუცხადა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს.

NDI-ის გამოკითხვის მიხედვით, რეიტინგში პატრიარქი კვლავ პირველ ადგილზეა

ბოლო კვლევის თანახმად, რომელიც 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე პერიოდში ჩატარდა, საქართველოს პატრიარქის მოწონების მაჩვენებელი 91%-ით განისაზღვრა.

რეიტინგში შემდეგი სამი ადგილი ხელისუფლების წარმომადგენლებს უჭირავთ. ირაკლი ალასანია 60%-ით, ირაკლი ღარიბაშვილი — 54%-ით და დავით უსუფაშვილი — 51%-ით.

როგორც „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე აღინიშნა, მიმდინარე წლის აპრილში ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, რეიტინგში მოცემული თითქმის ყველა პირის მოწონების მაჩვენებელი შემცირებულია.

NDI-ის კვლევების მიხედვით, კითხვაზე, როგორ შეაფასებდით მინისტრების საქმიანობას, გამოკითხულთა 37% ირაკლი ალასანიას საქმიანობას დადებითად აფასებს.

მეორე პოზიცია დაიკავა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მის საქმიანობას დადებითად 26% აფასებს.

შემდეგ მოდის საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, რომლის საქმიანობას დადებითად 25% აფასებს.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის საქმიანობას დადებითად გამოკითხულთა 25% აფასებს.

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის საქმიანობას დადებითად გამოკითხულთა 22% აფასებს.

განათლებისა და მეცნიერიების მინისტრის თამარ სანიკიის საქმიანობას დადებითად 16% აფასებს.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის საქმინობას დადებითად 13% აფასებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის საქმიანობას დადებითად აფასებს 16%, აქედან 1% — ძალიან კარგად, 15% — კარგად. 43% — საშუალოდ, 9% — ცუდად.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის საქმიანობა — 12% აფასებს.

NDI-ის გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი. კითხვაზე, ვინ არის თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, გამოკითხულთა 55% ამბობს, რომ არ იცის. გამოკითხულთა 31%-მა სწორი პასუხი გასცა, 13%-მა კი — არასწორი.

კითხვაზე, აქვს თუ არა თქვენს მაჟორიტარ დეპუტატს ბიურო თქვენს რეგიონში, გამოკითხულთა 53%-მა არ იცის, 35%-მა უპასუხა დიახ, არა-12%.

კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა უმეტესობა მის შეხედულებებთან ყველაზე ახლო მდგომ პოლიტიკურ ძალად კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ასახელებს.

შეკითხვაზე რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს, „ქართულ ოცნებაზე“ არჩევანი გამოკითხულთა 42 %-მა გააკეთა.

მმართველი კოალიციის შემდეგ, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი — 30% მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ ძალად „არც ერთ პარტიას“ არ მიიჩნევს, შემდეგი პოზიცია კი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უჭირავს. მასზე, როგორც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მდგომ პარტიაზე, არჩევანი, რესპონდენტთა 11 %-მა გააკეთა.

NDI-ის კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა **22%-ს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსწონს — ასეთი პასუხი გასცეს რესპონდენტებმა კითხვას, მოგწონთ თუ არ მოგწონთ მიხეილ სააკაშვილი.**

გამოკითხულთა 38% „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი მოსწონს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე გამოკითხულთა 22% მოსწონს.

კვლევების მიხედვით, გიორგი მარგველაშვილისა და დავით ნარმანიას გარდა, მოწონების რეიტინგში ყველა პოლიტიკოსის მაჩვენებელი შემცირებულია.

საქართველოს პრეზიდენტის მოწონების რეიტინგი ორი პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო 7 პროცენტით, 26-დან 19 პროცენტამდე არის შემცირებული მაჩვენებელი — არ მომწონს.

გამოკითხვის მიხედვით, ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობა ცალკეულ სფეროებთან მიმართებაში საშუალოდ ფასდება.

რამაზ საყვარელიძე: ჭუჭყიანი ექსპერიმენტები

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, NDI-ის კვლევის შედეგებზე ღიმილის რეაქცია უჩნდება. როგორც რამაზ საყვარელიძემ NDI-ის კვლევის შეფასებისას განაცხადა, მისთვის მიუღებელია ის კითხვები, რომელიც კვლევაშია დასმული.

„რას ნიშნავს წამყვანი ოპოზიციური პარტია? რომ ეკითხათ პარტიების რეიტინგი, აღმოჩნდება, რომ არის ალბათ ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილას და იგივე შედეგი იქნებოდა. სიტყვა წამყვანი რა საჭიროა? ნაციონალურ მოძრაობას სჭირდება, რომ მას ერქვას წამყვანი ოპოზიციური პარტია. ანალოგიურად კითხულობს NDI — როგორ შეაფასებდით პრემიერ-მინისტრის საქმიანობას არა ზოგადად, არამედ ჯანდაცვის მიმართულებით, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ა.შ. პრემიერის საქმიანობა ამა თუ იმ მიმართულებით შეიძლება შეფასდეს? ეს კითხვა ხომ იმთავითვე გულისხმობს, რომ ეს შეფასება მაღალი ვერ იქნება, იმიტომ, რომ რაღაცა ნაწილით არის პასუხისმგებელი პრემიერი კონკრეტული სფეროს მდგომარეობაზე. კითხვაში უკვე ჩადებულია ის, რომ პრემიერი აუცილებლად მიიღებს საშუალო მაჩვენებელს.

ანალოგიურია ის აკვიატებული კითხვა, რომელიც NDI-ის სულ აქვს — ვინ მოგწონთ და რამდენად. რას ნიშნავს მოგწონს? გარეგნობით მოგწონს, საქმიანობით მოგწონს, სიტყვა-პასუხით მოგწონს? პატრიარქი მოსწონს 91%-ს. მოსწონს კი არა თაყვანს სცემს, მოწონება რა შუაშია. პოლიტიკოსებში უცებ აღმოჩნდება, რომ ალასანია მოსწონს ბევრს, ვიდრე დანარჩენი. რა თქმა უნდა, ალასანია წარმოსადეგი და შესანიშნავი სიტყვა-პასუხის პატრონია. კითხვა იმთავითვე განწირულია იმისკენ, რომ, მრუდე სარკე აღმოჩნდეს. მრუდე იმიტომ კი არა, რომ ალასანიას ყოველთვის მაღალი რეიტინგი აქვს, მაგრამ თავისთავად კითხვა არის ისე დასმული, რომ წინ წამოსწიოს ის, ვინც პოლიტიკურ იერარქიაში შეიძლება წინ არ არის და ერთმანეთს გადაკიდოს პოლიტიკოსები“, — განაცხადა საყვარელიძემ.

ექსპერტის გაოცებას იწვევს მოწონების რეიტინგის ხუთეულში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის გამოჩენა.

საყვარელიძის განცხადებით, დავით ბაქრაძე ტელევიზორში სულ ორჯერ გამოჩნდა ბოლო ხანებში, როგორც წესი კი, რეიტინგები ტელეეთერის არეკვლაა.

„საიდან ჩარჩათ ეს ბაქრაძე? მთლიანობაში შთაბეჭდილება მრჩება ისეთი, რაც ყოველთვის მქონდა — NDI ცდილობს, მიიღოს შედეგები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის ინტერესშია“, - განაცხადა საყვარელიძემ.

ექსპერტის განცხადებით, კვლევაში ნათქვამია, რომ ცდომილება ორ პროცენტზე მეტს შეადგენს და მერე ამბობს, რომ მაგალითად, ორი პროცენტით არის შარშანდელთან შედარებით პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი გაზრდილი და ზოგიერთის დაკლებული.

„თუ ის ცდომილების ფარგლებშია, ამაზე რატომ მსჯელობ? ის ხომ ცდომილებაა? არაპატიოსნად შეფასებული ფრაზებია. რას ნიშნავს დაუვარდა და აუვარდა მოწონება? ვიღაცას შეიძლება მოსწონდა წვერებიანი მარგველაშვილი და არ მოსწონდეს უწვერო, ვიღაცას — პირიქით. რაზე ვლაპარაკობთ? როცა გაუგებარია, რაზე ისმის კითხვები, იქ გაუგებარია, შედეგს როგორი ინტერპრეტაცია უნდა მისცეს. მოსახლეობის 100 პროცენტიდან რაღაც პროცენტი იხელმძღვანელებს ერთი კრიტერიუმით, ზოგი - გარეგნობით, ზოგი - საქმიანობით. ანუ ეს ყველაფერი ჭუჭყიანი ექსპერიმენტებია“, — განაცხადა საყვარელიძემ და აღნიშნა, რომ ეს არ არის შემთხვევითი.

რისი შეტანაა აკრძალული საპატიმროებში?

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების და დოკუმენტების სიას აქვეყნებს, რომელთა პატიმრობის დაწესებულებაში შეტანა აკრძალულია.

აღნიშნულთან დაკავშირებით უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელშიც მინისტრის 14 აგვისტოს ბრძანებით დაწესებულ შეზღუდვებს „უსაფრთხოების უზრუნველყოფის“ მიზეზით ხნის.

განისაზღვრა ნივთების ის მინიმალური ჩამონათვალი, რომელთა შეტანა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის კუთხით განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია. აღნიშნული კონკრეტული სივრცისთვის საფრთხის შემცველი ნივთების იდენტიფიცირება მოხდა მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. ასევე, გათვალისწინებული იქნა საუკეთესო უცხოური გამოცდილებაც.

არ იკრძალება საკულტო-რელიგიური ნივთები. გვინდა, ხაზგასმით განვაცხადოთ, რომ აკრძალული ნივთების სიის განსაზღვრა ნაკარნახევია მხოლოდ პატიმრის და მისი გარემოცვის უსაფრთხოების მოტივით და არ არის მიმართული რელიგიური უფლებების შეზღუდვისკენ. აკრძალული ნივთების ნუსხაში შესულია ნებისმიერი სახის ოქროს, ძვირფასი და არაძვირფასი მეტალისგან დამზადებული ნივთები, თუმცა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაშვებულია, მაგალითად: ხის ჯვრის, ხატის, ფსკვნილისა და სხვა რელიგიური ნივთების შეტანა.

ჩამონათვალი იმ კვების პროდუქტების, ნივთების, ნაკეთობების, ნივთიერებების და დოკუმენტებისა, რომელთა პატიმრობის დაწესებულებაში შეტანა აკრძალულია ბრალდებულებთან და მსჯავრდებულებთან შეხვედრაზე შემსვლელი პირებისათვის: სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგნები, ნივთები და ნივთიერებები; ცივი იარაღის ყველა სახეობა;. სატრანსპორტო საშუალებები; ქიმიკატები, ფეთქებადი, მომწამლავი და ცეცხლსაშიში ნივთიერებები; ფული (ნებისმიერი სახის ფულადი ვალუტა), ფასიანი ქაღალდები და საკრედიტო ბარათები; ფასეული ნივთები, ნებისმიერი სახის ოქროს, ძვირფასი და არაძვირფასი ლითონისგან დამზადებული ნივთები, სამკაულები, მათ შორის „ბიჟუტერია“, ყველა სახეობის საათი; ოპტიკური ხელსაწყოები; სათვალეები (გარდა ოპტიკურისა); საკვები პროდუქტები, რომლებიც საჭიროებენ სითბურ დამუშავებას (ყავის და ჩაის გარდა), საფუარი, შაქარი; ალკოჰოლური სასმელების ყველა სახეობა, ლუდი, არაგამჭვირვალე შეფერილობის მქონე სითხე; სუნამოები, ოდეკოლონები და სხვა სპირტზე დამზადებული ნივთიერებები; გადასამრავლებელი აპარატები; დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, მინისაგან დამზადებული ნივთები; ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები; ხელჯოხები (გარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა); ბანქო; ფოტოაპარატები, ფოტომასალები, აუდიო-ვიდეო და ფიქსაციის სხვა საშუალებები; მობილური ტელეფონები (მათ შორის, მობილური ტელეფონის დამტენი, სიმ-ბარათი და აქსესუარები);ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა); კომპასები; დაუდგენელი ნიმუშის სამხედრო და სხვა ფორმის ტანსაცმელი და ამ სახეობის ტანსაცმელს მიკუთვნებული ზედა სამოსი და ფეხსაცმელი, ქუდები, თავსაბურავები, ხელთათმანები; საღებავები და კოპირების ქაღალდები.

◎ ჟურნალისტის გულისთქმა

გახსოვდეთ ნაცები!

ანუ რატომ უნდა დაბრუნდეთ, ბატონო ბიძინა!

ბატონო ბიძინა,

ერთხელ, უნივერსიტეტში გამოსვლისას, არნოლდ ჩიქობავამ ბრძანა: „მეცნიერებაში შეცდომა ყველას ეპატიება, ტყუილი კი — არავის.“

ეს ჭკვიანური შეგონება პოლიტიკაზეც უნდა გავავრცელოთ.

„ქართულმა ოცნებამ“, თქვენი ხელმძღვანელობით, არაერთი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ერთი განსაკუთრებულია.

ჯერ „ჩვეულებრივ“ შეცდომებზე ვთქვათ.

ერთი თავადვე აღიარეთ: გიორგი მარგველაშვილის არჩევა. სამწუხაროდ, ვერაფრით განუგეშებთ.



დანარჩენი?

შეცდომა იყო:

კულტურის მინისტრად გურამ ოდიშარიას დანიშვნა;

ბრძენი კონფუცი ამბობს, ნამდვილი შეცდომა შეცდომის გამეორებაა.

თქვენ, ამ შემთხვევაში, შეცდომა გაიმეორეთ: კულტურის მინისტრად, ამჯერად, ის შოუმენი დანიშნეთ, სააკაშვილსა და მის ფავორიტ „მომღერლებს“ უაზრო კონცერტებს რომ უმართავდა.

კულტურა ხომ ჩვენი მთავარი საუნჯეა.

წარმატებული შოუმენიო?!

ნამდვილი კურიოზია: როგორ შეიძლება, წარმატებული შოუმენი არსებობდეს იქ, სადაც... შოუბიზნესი თითქმის არ არსებობს?!

განვაგრძოთ შეცდომების ჩამოთვლა:

შეცდომაა მინისტრის მოადგილედ მანანა ბერიკაშვილის დაბრუნება;

შეცდომაა მრჩევლების მხოლოდ იმ პრინციპით შერჩევა, რომ ცნობილი მამების შვილები ბრძანდებიან: საეჭვოა, ხელმოცარულმა ხელოვანმა ან ლიტერატორმა ისედაც არაკომპეტენტურ მინისტრს სასარგებლო რამ ურჩიონ.

შეცდომაა უნივერსიტეტების საკითხში საბედისწერო უკანდახევა;

შეცდომაა (განსაკუთრებით ამ კონტექსტის გათვალისწინებით) ელისო ჩაფიძე და მისი ქორწილი:

ყანდიაშვილსა და რამიშვილზე აღარას ვიტყვი.

შეცდომაა ზვიად ქორიძე. აქვე ვთქვათ: შეცდომა არ იყო ალექსანდრე ელისაშვილი, მაგრამ მან თავად დაუშვა დიდი შეცდომა, როცა სასარგებლო საქმის კეთებას საკრებულოში უაზრო კამათი ამჯობინა.

შეცდომა იყო მეცხრე არხის დახურვა, როცა თითქმის ყველა არხი სინქრონულად გიტევთ;

შეცდომაა „ჯი-დი-ესი“, რომლის ოდიოზურმა „რაჭულმა“ უფრო მეტი ზიანი მოგაყენათ, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა ტელეკომპანიამ...

შეცდომაა ის, რომ აზრს საშუალო ნიჭის მსახიობებს ეკითხებით და არა ჭკუით, ინტელექტით, განსაცვიფრებელი ერუდიციით გამორჩეულ მწერლებს, მაგალითად, ბატონ ჩანა ბრეგვაძეს, როსტომ ჩხეიძეს, თემურ ქორიძეს... სხვათა შორის, ერთი ღია წერილი, ალბათ,ამ უკანასკნელთანაც (ბრწყინვალე კრიტიკოსთან) დამჭირდება — იმის სათხოვნელად, რომ ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, თქვენდამი დამოკიდებულებას ცოტა გადახედოს.

ხედავთ, რამდენი შეცდომა დაგროვებულა?

სამწუხაროდ, ჩამოთვლის გაგრძელება კიდევ შეიძლება.

მრავალტანჯულ ქართველ ხალხს, საბედნიეროდ, მადლიერების გრძნობა არ დაუკარგავს და, თქვენი მთავარი დამსახურების გამო, ზემოხსენებული შეცდომები დიდსულოვნად შეგინდოთ, მაგრამ იმასაც აშკარად ვხედავ, რომ მთავარი შეცდომის პატიება მაინც უჭირს.

მთავარი შეცდომა კი თქვენი გადადგომაა.

დამიჯერეთ, ხალხში თანდათან ძლიერდება იმის განცდა, რომ თქვენ მიატოვეთ.

აუტანელია იმასთან შეგუება, რომ მორალურად და პოლიტიკურად სრულიად გაკოტრებულ ნაც(იონალ)ებს დაუტოვეთ ერთადერთი სიმართლე, რასაც თქვენი ყველაზე ერთგული თანამებრძოლებიც კი ვერაფერს უპირისპირებენ: ყოველი ნაცი თუთიყუშივით იმეორებს ერთსა და იმავე აზრს იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილებებს ისევ თქვენ იღებთ.

დემაგოგთა და უტიფართა ხელში ეს ერთადერთი სიმართლეც საშიშია. ხომ ხედავთ, იმდენად გათამამდნენ, რომ აკო, ბოცო თუ გივია ახალ რევოლუციას აანონსებენ(?!)...

კი, ნამდვილად გაგიმართლათ ირაკლი ღარიბაშვილმა — ამას ვერავინ უარყოფს და ის მნიშვნელოვან ფიგურად უნდა დარჩეს, მაგრამ თქვენი დაბრუნება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

* * *

დიდი ფრანგი მოაზროვნე მიშელ დე მონტენი სპარსეთის მეფის შესახებ წერს: „დარიოსმა, ათენელთაგან მიყენებული შეურაცხყოფა რომ არ დავიწყებოდა, ერთ-ერთ მსახურს უბრძანა — ყოველთვის, როცა მაგიდას მიუჯდებოდა, ყურში სამჯერ ჩაეჩურჩულებინა: „მეფეო, გახსოვთ ათენელები?“

სასურველია, თქვენმა ერთგულმა თანაშემწემ ასევე ხშირად ჩაგჩურჩულოთ ხოლმე: „ბატონო ბიძინა, გახსოვთ ნაც(იონალ)ები?“

ხოლო რაც კონფუცის სიბრძნეს შეეხება, პირობას გაძლევთ, რომ დაბრუნების შემთხვევაში, მე თვითონ შეგახსენებთ ხოლმე: „ნამდვილი შეცდომა შეცდომის გამეორებაა.“

იმედია, აღარც გაიმეორებთ...

პატივისცემით,
იოსებ ჭუმბურიძე

კი, ნამდვილად გაგიმართლათ ირაკლი ღარიბაშვილმა — ამას ვერავინ უარყოფს და ის მნიშვნელოვან ფიგურად უნდა დარჩეს, მაგრამ თქვენი დაბრუნება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

◎ ალიანჩალიანი

თბილისის 2014 წლის ბიუჯეტი არასწორად დაგეგმილი და არარეალურად მაღალი იყო

ქალაქის მთავრობა დედაქალაქის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტს, რომელიც გუშინ მთავრობის სხდომაზე მოიწონეს, საკრებულოს მომავალ კვირას წარუდგენს.

როგორც დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, დედაქალაქის ბიუჯეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა პირველ რიგში, მერიას ეკისრება, რადგან ბიუჯეტი შედგა მერიაში და იმ ადამიანებს უნდა მოეთხოვოთ პასუხი, რომელთაც ნარმანიას შეფასებით, არარეალურად მაღალი ბიუჯეტი დაგეგმეს.

„პასუხისმგებლობა ასევე არის იმ ადამიანების, რომელთაც წინასაარჩევნოდ საბიუჯეტო სახსრები ადმინისტრაციული რესურსივით გამოიყენეს და ამით დაარღვიეს კანონმდებლობა. ჩემი, როგორც ქალაქის მერის ვალდებულებაა, მერიის ქვემდებარე უწყებებში, შესაბამის სამსახურებში პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც იღებდნენ გადაწყვეტილებებს და მიიღეს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები, მოეთხოვოთ პასუხი. თუმცა იმ ადამიანების დიდი ნაწილი, ჩემდა სასიხარულოდ, მერიაში აღარ მუშაობს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქის ბიუჯეტში დეფიციტის მოცულობა დაახლოებით 25 მილიონ ლარს შეადგენს.

თბილისის მერის განცხადებით, დედაქალაქის ახალი მთავრობა დადგა ობიექტური რეალობის წინაშე, რომ პრაქტიკულად ბოლომდე გახარჯული ჯანდაცვითი და სოციალური უზრუნველყოფის მუხლი უნდა შეავსოს სხვა მუხლებში არსებული რესურსებით იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სოციალური დაცვის და ჯანდაცვის მომსახურება.

წყალტუბოში ახალი ელექტროგადამცემი ხაზები დამონტაჟდა

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და საქართველოში აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი ქვესადგურ წყალტუბოში ახალი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზების საზეიმო გახსნას დაესწრნენ.

58 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები 90-იან წლებში მთლიანად გაიძარცვა. მისი აღდგენა 2012 წლიდან დაიწყო. პროექტის ღირებულება 18 მილიონ აშშ დოლარია. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება ელექტროგადამცემი ქსელის საიმედოობა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სტაბილური ელექტრომომარაგების უზრუნველყოფას.

ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, პროექტი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის მიზნით ხორციელდება.

ინტერპრესი

◎ ერიჰა!

არც გაზი და არც შეშა?!

მყარი საწვავი და მუდმივი პრობლემა - მერქნის ლიმიტი მცირეა

მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც გასულ წელს გამოყოფილი საშეშე მერქანი 2014 წლის იანვარში ან შემდგომ პერიოდში შეიძინა, მიმდინარე წელს შეშას ვეღარ მიიღებს. პრობლემას მყარი საწვავის მიმღებთა ელექტრონული ბაზა ქმნის, რომელიც აჩვენებს, რომ კონკრეტულ ოჯახს წელს შეშა უკვე მიღებული აქვს. როგორც კახეთის სატყეო სამსახურის უფროსი ნოდარ პატაშური ამბობს, საშეშე მერქნის ლიმიტი მცირეა და წლის განმავლობაში 2-ჯერ ვერ გაიცემა.

„საკითხი უნდა გადაწყდეს ჩვენს დეპარტამენტში. მას შესწავლა სჭირდება. კახეთში მოსახლეობის დაახლოებით 15 პროცენტს აქვს აღებული ის შვიდი კუბი. ვმუშაობთ, რომ პრობლემა მოვაგვაროთ“.

ნოდარ პატაშურის თქმით, თითო ოჯახი წელს 7 კბ/მ ოდენობის მყარ საწვავს მიიღებს, რომლის გაცემაც სატყეო მეურნეობებმა უკვე დაიწყეს. მისი განმარტებით, კახეთის რეგიონში, ჯამში, 101 000 კუბური მეტრი მყარი საწვავი გამოიყო:

ზამთრის სეზონის მოახლოებასთან ერთად, პრობლემების მატებას ელოდება თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ნაპირელი. მისი განცხადებით, ახალი რეგულაცია, რომელიც გაეროს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრომ შეიმუშავა, მოსახლეობის დიდ ნაწილს მყარი საწვავის გარეშე დატოვებს. ნაპირელი ამბობს, რომ თელავის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 2013 წელს გამოყოფილი საშეშე მერქანი მიმდინარე წლის დასაწყისში შეიძინა:

„ძალიან დიდი ნაწილი შეიძლება იყოს მოსახლეობისა, რომელმაც ეს რაოდენობა უკვე გამოიყენა იანვრის ან თებერვლის თვეში. მათ წელს კვლავ ესაჭიროებათ შეშა. ეს შექმნის პრობლემებს. თუ არ მოგვარდა, მაშინ ადამიანი შეეცდება, მოიპაროს ან რაიმე სხვა გზა მონახოს“.

კახეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთარში მყარი საწვავით თბება. მოსახლეობის თქმით, მთავრობის ახალმა რეგულაციამ, შესაძლოა, ოჯახები შეშის მარაგის გარეშე დატოვოს, რაც მათ სასიცოცხლო პრობლემებს შეუქმნის:

„სად არის შეშა, სად? კაცს ერთი მანქანა მაინც უნდა, რომ ზამთარი გაიტანოს. მოითხოვ და მოგცემენ თონის ფიჩხს. ფიჩხი გაგვათბობს?!“

„შეშა რად მინდა, თუკი გაზი იქნება, მაგრამ არც გაზი არ არის. თან ძალიან ძვირია“.

კახეთის სხვადასხვა რაიონში ოჯახების ნაწილი მყარი საწვავით გათბობას, ნაწილი კი ბუნებრივი აირის მოხმარებას ანიჭებს უპირატესობას, თუმცა პრობლემა ის არის, რომ სოფლების დიდი ნაწილი კახეთში დღემდე არ არის გაზიფიცირებული.

გიორგი ალადაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

მთავრობამ რეალური საარსებო მინიმუმი დღემდე ვერ დაითვალა!

გუშინ პრესაში საინტერესო ცნობას მოვკარი თვალი: არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს“, ჩვენი მთავრობისგან განსხვავებით, არ დაზარებია, რეალური საარსებო მინიმუმის გამოსათვლელად თავის ხელთ არსებული ყველა მონაცემი გამოუყენებია, საგულდაგულოდ დაუანგარიშებია და ჯამიც გამოუყვანია — 315,4 ლარი. დიახ, ხსენებული ცენტრის მეთოდოლოგიით გაანგარიშებულმა საარსებო მინიმუმმა წლეულს ივლისში 315,4 ლარი შეადგინა, რაც „საქსტატის“ ოფიციალურ მაჩვენებელს (144,7 ლარი) ორჯერ აჭარბებს!

ამ ციფრების გამგონე, მოდი და, ნუ განცვიფრდები. თუ ნორმალურ ქვეყანაში ვცხოვრობთ და საარსებო მინიმუმიც ნორმალური მეთოდოლოგიით გამოითვლება, რანაირად შეიძლება, ის (საარსებო მინიმუმი) ერთი და იმავე წლის ერთსა და იმავე თვეში (2014 წლის ივლისში) 144,7 ლარიც იყოს და 315,4 ლარიც? ესეც ხომ პროკურატურის მიერ ძებნილი პიროვნება არ გახლავთ, რომ „ნაცებმა“ პოლიტიკურ დევნილად მონათლონ, ხოლო „მეოცნებეებმა“ — სახელმწიფო თანხების დამტაცებლად?!

არც ერთია და არც მეორე. სიმართლე თუ გაინტერესებთ, ვიტყვი: ეს უკულმართი გაუგებრობა სათავეს იმ პერიოდიდან იღებს, როცა საკუთარ სიმდიდრეს დახარბებულმა ნაცებმა საერთაშორისო ნორმებისგან სრულიად განსხვავებული საარსებო მინიმუმი შეიმუშავეს. ამ „ნორმის“ მიხედვით, თუ უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში ხორცი და ხორცპროდუქტები ზრდასრული ადამიანისთვის 200 გრამს შეადგენს, საქართველოში ის რაღაც 70 გრამია, პურისა და პურპროდუქტების ნორმა 200 გრამის ნაცვლად — 380 გრამი. ქართველი, როგორც პურისმჭამელი კაცი, რა თქმა უნდა, ამასაც არ სჯერდება და მთავრობის გულის გასახარად დღეში 700 გრამსაც კი (თუ მეტს არა) ათოხლავებს. ამდენი პურობის შემდეგ, ბუნებრივია, კაცი რძესა და რძის პროდუქტებს ახლოსაც აღარ გაეკარება, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის ეს პროდუქტები საარსებო მინიმუმში 215 გრამის ოდენობით (ნაცვლად საერთაშორისო 680 გრამისა) მაინც შეიტანეს, — 680 გრამი ბოსტნეულის ნაცვლად — 332 გრამი, ხილი — 454 გრამის ნაცვლად 200 გრამი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რაღა თქმა უნდა, საარსებო მინიმუმის შედგენის ამ „უნიკალურმა პრაქტიკამ “ არსებითი გავლენა იქონია ასაკოვანი მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაზეც, რომელმაც ხელხვავიანი ნაცების (იგივე გნაცების) მმართველობის 9-წლიან პერიოდში იჩოჩიალა, იჩოჩიალა და 115-ლარიან ზღურბლს ძლივს მიაღწია. სააკაშვილი კი იძლეოდა 100-დოლარიანი პენსიის დაპირებას, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტს ეს შანსი ხელიდან გააგდებინა. რას ვიზამთ, არჩევნებში გამარჯებულმა პოლიტიკურმა ძალამ სააკაშვილს კიდევ ბევრ რამეზე დასწყვიტა გული, მაგრამ სამაგიეროდ გაიხარა ასაკოვანმა ამომრჩეველმა, რომელსაც კოალიციური მთავრობა სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, პენსიების მნიშვნელოვან ზრდასაც შეჰპირდა. თუმცა, შეპირება ერთია, რეალური საქმე კიდევ — მეორე. ერთადერთი ნაბიჯი, რაც ამ ხელისუფლებამ თავის მოღვაწეობის პერიოდში ამ მიმართულებით გადადგა, იყო ის, რომ პენსია 150 ლარამდე გაზარდა და გაჩერდა. მას რატომღაც ამ ნაბიჯის შემდეგ არ დაუსვამს კითხვა, რომელიც დღეს ბევრს აინტერესებს: რამდენ დღეს მოახერხებს ერთი რიგითი პენსიონერი თავის გატანას ამჟამინდელი 150-ლარიანი პენსიით?

ვერ გეტყვით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში აქვთ თუ არა ამ არცთუ მარტივი კითხვის პასუხი, აი სოციოლოგიური გამოკვლევით კი ირკვევა, რომ ეს თანხა დღეს პენსიონერისთვის, როცა საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ბაზარს ცეცხლი უკიდია, მხოლოდ 15-17 დღის საკმარისია. პენსიონერმა რაც უნდა მომჭირნეობით ხარჯოს თანხა, კვებაზე, კომუნალურ გადასახადზე, წამლებზე და სხვა აუცილებელ მომსახურებაზე სულ მცირე 270-300 ლარი მაინც დასჭირდება, მას კი მხოლოდ 150 ლარს ამყოფინებენ.

სხვებმა კი იოლად დაითვალეს და მან 315,4 ლარი(?!) შეადგინა

როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი არ იციან დღევანდელ ხელისუფლებაში? რა თქმა უნდა, იციან, თანაც ახლა კი არ მიხვდნენ, ხელისუფლებაში მოსვლამდეც იცოდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, ოცნების ცალკეული ლიდერები ასე ხმამაღლა კი არ შეჰპირდებოდნენ ხალხს: მთავრობაში რომ ვიქნებით, პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით, 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ აზრს დღესაც იზიარებს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 360 ლარის ტოლფასია, აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმის ოდენობა აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

ჰოდა, თუ გადასახედია, გადაიხედოს, ვინ არის ამის წინააღმდეგი? როგორც ვიცი, მეოცნებე მთავრობიდან ამის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მსურველიც რომ დღემდე არავინ გამოჩნდა? არადა, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდნენ, საარსებო მინიმუმის პრობლემა ერთთავად პირზე ეკერათ, მაშ რა გაუჭირდათ, ვითომ საარსებო მინიმუმის დათვლას იმდენი თანხები სჭირდება, რომ ხაზინაში ვერ მოიძიეს? არა, ბატონებო, საქმე სხვა რამეა. სინამდვილეში ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად პენსიების გაზრდა რომ მოუწევს.

სწორედ პასუხისმგებლობის ამ ყულფში თავის გაყოფა არ სურს ქვეყნის პირველ ფინანსისტს, ბატონ ნოდარ ხადურს და ამიტომ ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება პირნათლად შეასრულა. ვერ გამიგია, რას გვედავებით, — აცხადებს მინისტრი, — ხალხს ვპირდებოდით, რომ პენსია გაუთანაბრდებოდა საარსებო მინიმუმს. ფაქტობრივად, გაუთანაბრდა კი არა, გაუსწრო კიდეც, ამჟამინდელი საარსებო მინიმუმი 144,7 ლარია, პენსია კი — 150 ლარიო. რა თქმა უნდა, პიარში გამობრძმედილი ნაცები ისეთი გულუბრყვილონი არ გახლავან, ხადურის ნათქვამი ჰაიჰარად დაიჯერონ და არ შეახსენონ ის სიტყვები, რითაც ოცნების ლიდერები არჩევნებამდელ პერიოდში პენსიონერების გულს იგებდნენ: ჩვენ მოვალთ და პენსიების ოდენობას არა არსებული საარსებო მინიმუმის (140-150), არამედ მისი რეალური ღირებულების (230-250) ლარის მიხედვით განვსაზღვრავთო. ნაცები, ამჯერად სიმართლეს ღაღადებენ, ხადურს შეიძლება დაავიწყდა (მას რატომღაც გულმავიწყობა დასჩემდა), მაგრამ ბევრს დღესაც ახსოვს, რომ მეოცნებეთა დაპირება მართლაც ასეთი იყო.

მაგრამ თუ ხადურთან ერთად გულმავიწყობა მთავრობასაც დასჩემდა, მაშინ ურიგო არ იქნება, გადახედონ „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ წლეულს ივლისში საარსებო მინიმუმის ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლის შედეგებს, რომლის მიხედვითაც წლეულს ივლისში საარსებო მინიმუმმა 315,4 ლარი შეადგინა. შესაბამისად გაიზარდა მოხმარებული პროდუქტების დღიური კვებითი ღირებულება ერთ შრომისუნარიან მამაკაცზე და მან 2300 კილოკალორიის ნაცვლად 2500 კილოკალორია შეადგინა. საქმე ის გახლავთ, რომ „საქსტატი“, რომელიც დღემდე „პრეისტორიული“ მეთოდოლოგიით მუშაობს, საარსებო მინიმუმს თურმე კვლავაც 40 დასახელების პროდუქტთა ჯგუფის მიხედვით ადგენს, მაშინ, როდესაც სასურსათო კალათა რეალურად 70 დასახელების პროდუქტს მოიცავს.

როგორც ხსენებული ცენტრისთვის „საქსტატის“ მიერ გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ეს უკანასკნელი ისეთ პროდუქტებზე, როგორიც არის პურ-ფუნთუშეული (გარდა ხორბლის პურისა), შვრია, ნადუღი, ერბო, მზესუმზირა, მწვანე ხახვი, ყვავილოვანი კომბოსტო, გარგარი, ჭერამი, ბალი, მარწყვი, მურაბები, ჯემები და სხვა, თურმე დაკვირვებას არ აწარმოებს. ჰოდა, თუ დაკვირვებას არ აწარმოებს, მე თქვენ გეკითხებით, „საქსტატს“ საარსებო მინიმუმი სიზმრად ნახული პროდუქტებიდან გამოჰყავს? როგორც ჩანს, „საქსტატთან“ ერთად ხელისუფლებაც ანგარიშს არ უწევს იმას, რომ შეიცვალა პროპორციები სასურსათო და არასასურსათო კალათებს შორისაც, რომელთა შეფასება არსებული 70/30-ის ნაცვლად, რეალურად უკვე 55/45-ზეა. ამით სპეციალისტები ხელისუფლებს შეახსენებენ, რომ ადამიანებს, ცხოველებისგან განსხვავებით, კვების გარდა, სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნიათ.

ასეთია, სამწუხაროდ, რეალობა, ხელისუფლებამ კი მთელი ამ ხნის მანძილზე რატომღაც ერთხელაც ვერ მოიცალა დასათვლელად, და ეს მაშინ, როდესაც საკუთარ კეთილდღეობაზე, ხელფასებისა და პრემიების ზრდაზე ზრუნვა ერთი დღითაც არ შეუნელებია. აქ არ შევუდგები იმის ჩამოთვლას, ხელისუფლების ცალკეულ შტოებში რა რაოდენობის პრემიები და სახელფასო დანამატები ჩამოირიგეს (ამაზე უამრავჯერ დაიწერა და აღარ მინდა მკითხველს ნერვები დამატებით დავუძაბო), მაგრამ არ შემიძლია „არ გამოვექომაგო“ ქალბატონ თინა ხიდაშელს, რომელმაც ამას წინათ დაიწუწუნა: ამ ქვეყანაში ყველაზე დაჩაგრულები პარლამენტარები ვართ, რადგან სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთაგან ყველაზე ნაკლები ხელფასები გვაქვსო.

არ არის ასეო, აცხადებს ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორხელიძე: „ხელფასების გარდა, მათ აქვთ სახელფასო დანამატები, რაც თაღლითობის კიდევ ერთი ფორმაა. არსებობს ხელფასი და სახელმწიფო დანამატებით შენიღბულად, ამ ხელფასის გაზრდა ხდება, რომ ამით საზოგადოება ასე თუ ისე შეცდომაში შეიყვანონ“. რეალურად პარლამენტის წევრის ყოველთვიური ხელფასი 2000 ლარია, თუმცა, მათ ყოველთვიური სახელფასო დანამატებიც აქვთ და საშუალოდ ერთი დეპუტატის შენახვა ბიუჯეტს წელიწადში დაახლოებით 50000, თვეში კი 4 000 ლარზე მეტი უჯდება, ამის გარდა, ბიუჯეტიდან ფინანსდება მათი საკომუნიკაციო, სამივლინებო, საწვავისა და ბინის ქირის ხარჯებიც.

ასე რომ, ჩვენს ნებიერა დეპუტატებსა და ჩინოსან სახელმწიფო მოხელეებს საწუწუნო და სავიშვიშო არაფერი აქვთ, თანაც იმ მწვავე სოციალურ ფონზე, როცა ქვეყანაში მასწავლებლის საბაზისო ხელფასი 305 ლარია, პენსია — 150 ლარი, როცა გაეროს ფონდის მონაცემებით, საქართველოში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეოთხე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა. რა თქმა უნდა, საჯარო მოხელე კარგი მუშაობისთვის უნდა წახალისდეს, მაგრამ არა ისე, რომ ყოველთვიურად მინიმალურ პენსიასა და საარსებო მინიმუმზე 150-ჯერ მეტს იღებდეს. ამას წახალისება კი არა, უფრო უზნეობა შეიძლება დავარქვათ, თანაც სახელმწიფო რანგში აყვანილი უზნეობა.

ნუ შევეჯიბრებით ამ დარგში მიღწეული შედეგებით ყველა დროის უცვლელ რეკორდსმენს — მიხეილ სააკაშვილს.

ოთარ ხუციშვილი

რამდენ დღეს მოახერხებს ერთი რიგითი პენსიონერი თავის გატანას ამჟამინდელი 150-ლარიანი პენსიით?

◎ ასეა ეს!..

როგორ შვა სიძემ ბიზნესმენი სიმამრი,

ანუ რაღა სწორედ 2009 წლიდან დაიწყო ლერი მეტრეველის წარმატებული ბიზნესი?

დღემდე საზოგადოების ყურადღების ცენტრში საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის მხოლოდ სატელეფონო საუბრებისა და დასვენების თანხები იყო, ახლა კი სამართალდამცველები, როგორც ვიცით, ბანკ HSBC-ის ანგარიშზე განთავსებული თანხებითაც დაინტერესდნენ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა დოკუმენტი, რომლის თანახმად, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა და მისმა მეუღლემ ბრიტანულ ბანკში ანგარიში დახურეს, რომელზეც 261,757.83 გირვანქა სტერლინგი (754,700.17 ლარი) ჰქონდათ.

როგორც ბაქრაძე ამტკიცებს, ეს თანხა მისი სიმამრის საცხოვრებელი სახლის გაყიდვით მიღებული შემოსავალია და სახელმწიფო საბიუჯეტო თანხებთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ამ ისტორიაში გასაკვირი თითქოს არაფერია — კაცმა სახლი გაყიდა, თანხა კი შვილსა და სიძეს აჩუქა, თუმცა, 2002 წელს მიღებული ფული ბრიტანული ბანკის ანგარიშზე მხოლოდ 2009 წელს აღმოჩნდა. სწორედ ამ პერიოდში იწყება მეტრეველის წარმატებული ბიზნესსაქმიანობაც.

ლერი მეტრეველს 50-პროცენტიანი წილი აქვს სამშენებლო კომპანია „ბელდ ინვესტში“, რომლის წლიური შემოსავალი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაახლოებით 30 მილიონი ლარია. იგი გამარჯვებულია რამდენიმე სახელმწიფო ტენდერში.

ლერი მეტრეველი 14-პროცენტიან წილს ფლობს შპს „ჯიშსაშენში“ — მან 2008 წლის ნოემბერში შეისყიდა და საკუთრებაში დაირეგისტრირა 950 ჰექტარი მიწის ფართობი დმანისის რაიონში.

რაც შეეხება შპს „ბელდ ინვესტს“, ცნობილია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს მას უამრავი ტენდერი აქვს მოგებული.

ასევე ლერი მეტრეველის სახელს უკავშირდება მინერალური წყლის კომპანია „ზვარეც“, სადაც ის ამ დრომდე, უცხელ პარტნიორებთან ერთად გარკვეულ წილს ფლობს.

ჩვენი წყაროს ცნობით, ოფიციალურად ლერი მეტრეველი არსად არ ფიგურირებს, მის ფირმებში ფორმალურად სხვადასხვა პირები არიან გაფორმებულები, რეალურად კი მათ დავით ბაქრაძის სიმამრი მართავს.

„ბელდ ინვესტამდე“ ლერი მეტრეველს სხვა სამშენებლო კომპანია „ელრიო“ ჰქონდა, სადაც საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანიის 50%-ს ფლობდა. კომპანია სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა. მათ შორის, ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, დანადგარების შეკეთებას, ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებულ მომსახურებებს და სხვადასხვა სამუშაოს.

„ელრიომ“ 2009 წელს დაბა ხარაგაულში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის მიზნით გამართული ტენდერი მოიგო — 1,635-მილიონიანი პროექტი, მოგვიანებით, ცვლილების შემდეგ, დაახლოებით, 158 ათასი ლარით შემცირდა და წყალსადენის რეაბილიტაცია „ელრიოს“ 645 ათასი ლარი დაუჯდა. კომპანიამ კუთვნილი თანხა მიიღო, თუმცა, ხარაგაულელებს წყლის მიწოდება მაინც არ გაუუმჯობესდათ და დაპირებული 24-საათიანი წყლის მიწოდებაც შეუსრულებელი დარჩა.

შპს „ელრიო“ იმავე პერიოდში ხარაგაულში ტროტუარების რეაბილიტაციის პროექტზეც მუშაობდა, რისთვისაც 230 ათასი ლარი მიიღო რეგიონული განვითარების ფონდიდან, თუმცა, ადგილობრივების ინფორმაციით, სამუშაო სანახევროდ შესრულდა.

სამუშაოების დასრულებიდან რამდენიმე თვეში კომპანიის რებრენდინგი განხორციელდა, „ელრიო“ საინფორმაციო ბაზიდან გაქრა — 2010 წელს დამფუძნებელ პარტნიორთა კრებამ ლერი მეტრეველს საკუთარი განცხადების საფუძველზე, თანამდებობრივი უფლებამოსილება შეუწყვიტა, შპს-ს დირექტორად ვინმე ბექა დევდარიანი დაინიშნა, კომპანიას კი სახელი გადაერქვა — „ბელდ ინვესტი“ გახდა. ლერი მეტრეველი კი მხოლოდ დამფუძნებელთა სიაში დარჩა.

2011 წელს „ბელდ ინვესტმა“ მორიგი ტენდერი მოიგო — პროექტი ამბროლაურის რაიონის ორ სოფელში (ჯვარისასა და ტოლაში) წყალსადენის რეაბილიტაციას ითვალისწინებდა (ღირებულება — 234 000 ლარი). რამდენიმე თვეში, ისევ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამების ფარგლებში, შპს „ბელდ ინვესტმა“ ფოთში, მალთაყვის ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მშენებარე უბნების გარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა დაიწყო (პროექტის ღირებულება — 779 833 ლარი). 2012 წლის გაზაფხულზე „ქრისტიან-დემოკრატები“ აკეთებდნენ მწვავე განცხადებებს, რომ სამუშაოები უხარისხოდ შესრულდა.

კომპანიამ 2012 წელს, კიდევ ერთ ტენდერში გაიმარჯვა და ბაღდათის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო. პროექტის საერთო ღირებულება — 670,088 ლარს შეადგენდა და 2013 წლის ივლისში დასრულდა.

ასე რომ, ბრიტანულ ბანკში განთავსებული თანხები თავისუფლად შეიძლებოდა, სიმამრს წარმატებული ბიზნესიდან მიღებული მოგებიდანაც ეჩუქებინა ბაქრაძისთვის. სხვა საკითხია, რატომ დაინტერესდა დღევანდელი პროკურატურა ამ სიძე-სიმამრით და რამდენად უკავშირდება ეს ლერი მეტრეველის ბიზნესს.

ასეა თუ ისე, დავით ბატონო, სხვა საკითხია, შენ უფრო გაგიმართლა მეტრეველის სიმამროთი თუ ბატონ ლერის — შენი სიძეობით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრმა ინატრა: შენი სიმამრის წყალი ჩვენებსაც გადმოსხმოდესო!.

მარიამ თოდაძე

◎ კომენტარი

რომან გოცირიძე: მუდისის რეიტინგი კარგია, მაგრამ ბიუჯეტი რომ ვალებით იგეგმება?

საერთაშორისო სარეიტინგო საგენტო მუდისმა საქართველოს რეიტინგი გააუმჯობესა და სამომავლო ტენდენცია „სტაბილური“ შეცვალა „პოზიტიურით.“ თუ რას ნიშნავს და რატომ მოხდა ეს, ამ კითხვაზე პასუხისთვის „ჯი-ეიჩ-ენი“ ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს დაუკავშირდა.

— ბატონო რომან, რამ განაპირობა ქვეყნის რეიტინგის ცვლილება და იმოქმედებს თუ არა იგი საინვესტიციო აქტიურობაზე? ზოგადად, რას უჩვენებს ეს რეიტინგი?

— რეიტინგი აჩვენებს ქვეყნის უნარს, დროულად მოემსახუროს საგარეო ვალდებულებებს, ანუ როგორია ვალის ტვირთი და არსებობს თუ არა საფრთხეები, რომ მან პრობლემები შეუქმნას ეკონომიკის განვითარებას. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, რეიტინგში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მისი ძირითადი პარამეტრები იგივე დარჩა, შეიცვალა მხოლოდ მომავალი ტენდენციის გამომხატველი მაჩვენებელი. მომავლის პროგნოზი „სტაბილურობიდან“ შეიცვალა „პოზიტიურობისაკენ“. მოკლედ, უფრო კორექტულად რომ ვთქვათ, რეიტინგი გაუმჯობესდა. ესეც კარგია, რა თქმა უნდა.

— რა იყო ამის მიზეზი?

— ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველი, ტექნიკური და მეორე — სისტემური. პირველი ის, რომ შემცირდა საგარეო ვალი. წელს ქვეყანას დაუდგა ვალების გასტუმრების ერთ-ერთი მძიმე წელიწადი. ეროვნულმა ბანკმა მთლიანად გაისტუმრა სავალუტო ფონდის წინაშე არსებული დავალიანება. მთავრობამაც დაფარა ვალი საკმაო ოდენობით. გავლენა მოახდინა იმანაც, რომ შეჩერდა ლარის გაუფასურების ტენდენცია, რამაც სახიფთო სახე მიიღო ნოემბერ-იანვარში და დიდძალი უცხოური ვალუტის რეზერვები შეიწირა (470 მილიონი დოლარი). ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვები შარშანდელი ზაფხულის პერიოდის 3,1 მილიარდი დოლარიდან დღევანდელ 2,5 მილიარდამდე შემცირდა. ბოლო ექვს თვეში კურსი დასტაბილურდა და აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა პირველად შეავსო რეზერვები 100 მილიონი დოლარის ოდენობით. თანაც ისეთი პირი უჩანს, რომ ეს პროცესი შეიძლება კიდევ გაგრძელდეს ტურისტული სეზონიდან გამომდინარე. არ შემცირდა უცხოეთიდან გადმორიცხვები (უწინარესად, რუსეთიდან), რომლის საფრთხე არსებობდა მთელი წლის განმავლობაში უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო. ეს კომპონენტი არის ქვეყნის სავალუტო შემოდინებების და სავაჭრო ბალანსის დეფიციტის დაფარვის ძირითადი წყარო (1,5 მილიარდი დოლარი წელიწადში). წინა წლებისგან განსხვავებით მისი ზრდის ტემპი შემცირდა, მაგრამ კარგია, რომ მოცულობაში არ კლებულობს, ანუ ის საფრთხეები, რომლებიც საგარეო ვალდებულებების შესრულებას შეაფერხებდა, არ შეიმჩნევა.

ამასთან, კვლავ არსებობს საკმაო რისკები. საგარეო ვალი კი შემცირდა, მაგრამ წელს მთავრობამ ძალიან გაზარდა საშინაო ვალი. დიდძალი ფული ისესხა ქართული კომერციული ბანკებისაგან ბიუჯეტის დეფიციტის დასაბალანსებლად. კვლავ არის საფრთხე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დროში არათანაბარი შესრულების სახით.

ასევე ამ შეფასებაში არ არის გათვალიწინებული მთავრობის მიერ სულ ახლახან დამატებითი 154 მილიონი დოლარის საგარეო ვალის აღება სავალუტო ფონდიდან.

ამ უკანასკნელმა არა მგონია, რაიმე არსებითი ზემოქმედება იქონიოს მომავალში რეიტინგის გადახედვისას, რადგან წლის ბოლომდე მთავრობას კიდევ მოუწევს ვალის გადახდა და მისი საერთო მოცულობა არ გაიზრდება, მაგრამ თავისთავად ის, რომ ბიუჯეტი ვერ იგეგმება ვალებით მისი შევსების გარეშე, არ არის კარგი.

— რაც შეეხება მეორე, სისტემურ ფაქტორს, რას გულისხმობდით ამაში?

— დადებითი ტენდენციის შექმნის მთავარი ფაქტორია ასოციირების ხელშეკრულების რატიფიცირება და მისი სრული ძალით ამოქმედება რამდენიმე თვეში, როცა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანაც მოახდენს მის რატიფიცირებას, ანუ პერსპექტივა კარგი გვაქვს, თუ კარგად გამოვიყენებთ. რეიტინგში სიტყვა „პოზიტიურიც“ ზუსტად ამას გულისხმობს.

ლაშა ნოდია

◎ ალიანჩალიანი

თელავის საკრებულოს წევრს ფიზიკურად გაუსწორდნენ

თელავში „გაერთიანებული ოპოზიციიდან“ თელავის საკრებულოს წევრს ნიკა ვარდოშვილს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

არსებული ინფორმაციით, ვარდოშვილს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა სასტუმრო „ძველი თელავის“ მენეჯერთან შალვა სეფიშვილთან, რაც ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. სასტუმროს მენეჯერის თქმით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ვარდოშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც სასტუმროზე განთავსებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. ვარდოშვილი მომხდარ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებს. დაზარალებულს თელავის რეფერალურ საავადმყოფოში ჩაუტარდა გამოკვლევა. ექიმების განცხადებით, მას სერიოზული დაზიანებები არ აღენიშნება.

დაკარგული საქართველოს მოქალაქის ცხედარი იპოვეს

დარიალის ხეობაში, „დარიალჰესის“ გვირაბში ჩამოშლილი მიწის მასაში საქართველოს მოქალაქის ცხედარი იპოვეს. შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფებმა ცხედარი რამდენიმედღიანი საძიებო-სამაშველო ღონისძიების შედეგად იპოვეს.

მეწყერის ჩამოწოლის შედეგად „დარიალჰესის“ გვირაბში სარემონტო სამუშაოებს ორი პირი აწარმოებდა. ერთ-ერთი მათგანის, თურქეთის მოქალაქის ცხედარი რამდენიმე დღის წინ მდინარე თერგის დინებამ რუსეთის მხარეს გამორიყა. ამ დრომდე დაკარგულად ითვლებოდა მეორე პირი, საქართველოს მოქალაქე, რომელიც „დარიალჰესის“ გვირაბში მუშაობდა. ცხედარი გადასვენებულია ექსპერტიზის ჩასატარებლად. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცხედარს ოჯახში გადაასვენებენ.

პოზიტიური გადაწონის თუ ნეგატიური?

2013 წლის 1 აგვისტოს ევროკავშირის საბჭოს რეგულაციებით ძალაში შევიდა ე.წ. ანტირუსული სანქციების მესამე, და, ჯერჯერობით, ყველაზე ფართო პაკეტი, რომელიც მოიცავს რუსეთის ეკონომიკის ცალკეულ სექტორებს (მათ შორის, ენერგეტიკას და საფინანსო სფეროს) და კერძო პირებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსეთის მმართველ ელიტასთან. ამ ღონისძიებების შეზღუდული ფარგლები და ცალკეული გამონაკლისები იმის მომასწავებელია, რომ რუსეთის ეკონომიკაზე მათი უშუალო გავლენა არაყოვლისმომცველია. სანქციების გავლენას საძართველოდან რუსეთში აგრარული პროდუქციის ექსპორტზე არაერთი პუბლიკაცია მიეძღვნა. თუმცა, არ განხილულა, რა სერიოზული პოზიტიური და ნეგატიური ზეგავლენა ეძნება მათ საძართველოზე.

ანტირუსული სანქციების მოსალოდნელი პოზიტიური გავლენა საქართველოზე გამავალ „სამხრეთის გაზის დერეფანზე“ და კომუნალურ ტარიფებზე

ამ „დერეფნის“ პროექტების წარმატების შემთხვევაში, უახლოეს წლებში შეიძლება გაიზარდოს საქართველოს გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფების სტაბილურ დონეზე შენარჩუნების შანსები. კერძოდ, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ანტირუსული სანქციების შედეგად აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივი აირის და ნავთობის მზარდი ნაკადები არა რუსეთზე, არამედ სამხრეთ კავკასიაზე გაივლის. შედეგად, ბაქო-თბილისი-ერზრუმის მარშრუტის „სამხრეთკავკასიურ მილსადენში“ (SCP) საშუალოდ წელიწადში, ნაცვლად ბოლო წლებში გადატუმბული 4.5-7 $მ^3$ გაზისა, გაივლის 20-30 მლიარდი $მ^3$ ბუნებრივი აირი. მარტო აზერბაიჯანული „შაჰ-დენიზი 2“-ის საბადოდან საქართველოზე 2019 წლიდან ყოველწლიურად 16 მლრდ $მ^3$ გაზის ტრანზიტია დაგეგმილი. გაზის ტრანზიტის საფასურად საქართველოს შეღავათიანი ფასით (1000 $მ^3$-ზე 60-65 დოლარი) დარჩება 1-1.5 მილიარდი $მ^3$ აირი. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს იაფი გაზის გარკვეული ნაწილი მივმართოთ თბოსადგურებში შედარებით იაფი ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ელექტროენერგიის გენერაციის საშუალო ღირებულებაზეც. საქმე ისაა, რომ კომუნალური ტარიფების თვითღირებულებაში უმეტესი ხვედრითი წილი სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს, ანუ ე.წ. ენერგოშემცველებს უჭირავთ. ასე მაგალითად, თბომომარაგების ტარიფში საწვავის დანახარჯი 36%-ს შეადგენს, ელექტროენერგიის ხარჯი — 9%, ხოლო ხელფასი — 14%-ია. წყალმომარაგებაში ელექტროენერგიის ხარჯები 20%-ს აღწევს, ანუ თითქმის იმდენივეა, რაც წყლის შესაძენი ხარჯი, ხოლო ხელფასის ხარჯი 15%-მდეა. ამდენად, კომუნალური ტარიფების ზრდის ძირითადი ფაქტორია ფასების ზრდა სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე.

შემთხვევითი არ არის, რომ ენერგეტიკის სექტორის სანქციების გამო, მსოფლიოს უდიდესმა ნავთობკომპანიამ, „როსნეფტმა“ ა/წლის 15 აგვისტოს რფ-ს მთავრობას სთხოვა უპრეცედენტო — 1.5 ტრილიონი რუბლი სუბსიდიის გამოყოფა „ეროვნული კეთილდღეობის ფონდიდან“. სანქციების შემოღებამდე „როსნეფტი“ გრანდიოზულ საინვესტიციო პროექტების განხორციელებას გეგმავდა, რომელთა არსი იყო ყაზახური „თენგიზის“ და „კაშაგანის“ ნავთობის მხოლოდ რუსეთის გავლით ტრანსპორტირება და ამ ნავთობის „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანით“ ტრანსპორტირების არდაშვება. საქმე ისაა, რომ სანქციები ართულებს რუსული ენერგოკომპანიების ურთიერთობებს უცხოელ კრედიტორებთან და შესაბამისი დაფინანსების გამოყოფას უშლის ხელს. რფ-ს საგარეო ვალის 72% ხომ ენერგოკომპანიების კრედიტებია! ასე, მაგალითად, ანტირუსული სანქციების გამო, მომდევნო ორი წლის განმავლობაში „როსნეფტმა“ ვალების დასაფარად 50 მლრდ, ხოლო „გაზპრომმა“ — 30 მლრდ დოლარი უნდა გადაიხადონ. სანქციები რფ-ს ბიუჯეტის იმ საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულებასაც დაემუქრა, რომლებიც ქვეყანაში ახალი უცხოური ტექნოლოგიების გამოყენებით უნდა მიეღოთ. ასეთებია ღრმა ჭაბურღილების ბურღვის, ფიქლების და არქტიკული შელფის ენერგორესურსების დამუშავების ტექნოლოგიები.

სამხრეთ კავკასიის მარშრუტით სატრანზიტო ნაკადების მოსალოდნელი გადმომისამართებით გამოწვეულ ჩვენს ოპტიმიზმს საფუძველს ისიც აძლევს, რომ ევროკომისიამ ა/წლის აგვისტოს მიწურულს გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის თანახმადაც, ბრიუსელის პრიორიტეტია არა „სამხრეთის ნაკადი“, არამედ გაზმომარაგების დივერსიფიკაცია კასპიის რეგიონთან დამაკავშირებელი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების საშუალებით.

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ევროპის ენერგოკომისარმა გიუნტერ ეტინგერმა გერმანულ Handelsblatt-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ის ხაზს უსვამს 2009 წელს ევროპის ენერგოუსაფრთხოების შესუსტებას რუსეთის და უკრაინის მაშინდელი „გაზის ომის“ გამო, რომელიც, სავარაუდოდ, მომავალ ზამთარშიც განმეორდება, უფრო მეტიც, რუსული „სამხრეთის ნაკადისადმი“ მხარდაჭერის შემთხვევაში გ. ეტინგერი სანქციებით დაემუქრა ევროკავშირის 28-წევრიანი გაერთიანების იმ 6 წევრ ქვეყანასაც, რომლებიც თითქმის 100%-ით არიან დამოკიდებული რუსულ გაზმომარაგებაზე. შედეგმაც არ დააყოვნა — ბულგარეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალური განცხადებით, ამ ქვეყნის ენერგოკომპანია აღარ მონაწილეობს რუსულ პროექტში და ბულგარეთი აღარაა „სამხრეთის ნაკადის“ გაზსადენის სატრანზიტო მარშრუტი. ევროკომისიის ზეწოლით ამ ქვეყანაში „სამხრეთის ნაკადის“ სამშენებლო კონსორციუმის მონაწილეთა რიგები დატოვა რუსულმა „სტროიტრანსგაზმა“, რომელსაც პრეზიდენტ ვ. პუტინის მეგობარი, აშშ-ს მიერ სანქცირებული, გენადი ტიმჩენკო ხელმძღვანელობს. ბოლო თვეებში გ. ტიმჩენკო ასევე იძულებული გახდა გაეყიდა თავისი ევროპული აქტივების უმეტესობა.

რუსული ენერგონაკადების მიმართ ნდობა მოსკოვის ისეთმა მოკავშირემაც კი დაკარგა, როგორიც ირანია. ანტირუსული სანქციების გამოცხადებისთანავე, ირანის ნავთობისა და გაზის სამინისტროში მზადყოფნა განაცხადეს რუსული მარშრუტების კონკურენტ „ნაბუქოთი“ ევროპის გაზმომარაგებაზე. მანამდე ირანში ჩასული იყო ევროკავშირის ორი დელეგაცია, რომლებიც ევროპაში ირანული გაზის თურქეთის, სირიის, სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის მარშრუტებით ტრანსპორტირების შესაძლებლობებს განიხილავდნენ. ექსპერტების გასაოცრად, როგორც ჩანს, რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირების ფონზე თეირანში არჩევანი უკვე ყველასაგან მივიწყებულ „ნაბუქოზე“ გაკეთდა.

სავარაუდოდ, დასავლეთის ანტირუსული სანქციები მომავალში კიდევ უფრო გააუარესებს საერთაშორისო არენაზე რუსეთისადმი ნდობას და შეამცირებს უცხოელი ინვესტორებისათვის მის მიმზიდველობას. ამით გაღრმავდება რფ-ს მაკროეკონომიკური პრობლემები, შემცირდება მშპ-ს ზრდა, შესუსტება რუბლი, გაიზრდება ინფლაცია და ქვეყნიდან კაპიტალის გადინება. უკვე ამ გაზაფხულზე, სააგენტო Fitch-მა დასწია რუსეთის საკრედიტო რეიტინგი „სტაბილურიდან“ „ნეგატიურამდე“, ხოლო Standard & Poor-მა ქვეყანას „B-BB“ ნაცვლად მიანიჭა ყველაზე დაბალი საინვესტიციო რეიტინგი „BBB-“.

ამასთან, G7-მა მსოფლიო ბანკს ურჩია შეაჩეროს რუსეთში 1.34 მლრდ დოლარის ცხრა საინვესტიციო პროექტის იმპლემენტაცია. მხოლოდ 2014 წლის პირველ ნახევარში რუსეთიდან 74.6 მლრდ დოლარი გავიდა, რაც მთელი 2013 წლის მაჩვენებელს აღემატება (62.7 მლრდ დოლარი). წინასწარი პროგნოზით 2014 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 100 მლრდ დოლარს გადააჭარბებს. მზარდი პოლიტიკური და საფინანსო რისკების შედეგად გერმანიის ეკონომიკის ფედერალურმა სამინისტრომ შეაჩერა Rheinmetall-ის 100 მლნ.ევროიანი კონტრაქტი, რომლითაც რფ-ში უნდა აშენებულიყო თანამედროვე სამხედრო-საწვრთნელი ცენტრი.

გასაოცარია, რომ ზემოაღნიშნული ჩიხიდან გამოსავლის ძიების ნაცვლად, სანქციებსა და დასავლეთის კრიტიკაზე რუსეთის ხელისუფლების რეაგირება 7 აგვისტოს შემოღებული საპასუხო ეკონომიკური ემბარგოა. აკრძალვები გავრცელდა ამ ქვეყნების გარკვეული საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე. ამავდროულად, რფ-ს მთავრობამ დაიწყო მედიაკამპანია სანქციების გავლენის წინააღმდეგ. მოსკოვი ხაზს უსვამს საგარეო ეკონომიკური კავშირების დარღვევის მიმართ რუსეთის ამტანობას და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობას. ამ რიტორიკამ გადამწყვეტი გავლენა იქონია რუსული საზოგადოების განწყობაზე — **ამ ეტაპზე რუსების უმრავლესობა სანქციების ეფექტს უმნიშვნელოდ თვლის და მიაჩნია, რომ რუსეთის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევა მხოლოდ ელიტაზე იმოქმედებსდა არა მთელ საზოგადოებაზე.**

ანტირუსული სანქციების მოსალოდნელი ნეგატიური გავლენა საქართველოს საფინანსო სექტორზე

საზოგადოების ამგვარი განწყობების შენარჩუნებას ხელს უწყობს, ენერგეტიკასთან ერთად, სანქციების ისეთ ელიტურ სექტორზე გავრცელება, როგორიცაა საფინანსო სფერო. ამის შედეგად ხუთ რუსულ ბანკს — „სბერბანკს“, „როსსელხოზბანკს“, „ვი-თი-ბის“, „გაზპრომბანკს“ და „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ბანკს“, აღარ მიუწვდებათ ხელი ევროპის კაპიტალის ბაზარზე. თანამედროვე გეოპოლიტიკური სიტუაციის გაუარესების გამო, სააგენტო Morgan Stanley-მ წელს უკვე მესამედ გადახედა რუბლის კურსის პროგნოზს. 2014 წლის ბოლოსთვის რუსული ვალუტის კურსი დოლართან 38 რუბლამდე დაეცემა. ადრინდელი პროგნოზი 36.5 რუბლი იყო. რუსეთის ფინანსთა ექს-მინისტრმა ა. კუდრინმა განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების შედეგად ქვეყანა 2-3 წელიწადში 200 მილიარდ აშშ დოლარს დაკარგავს. მან ასევე დაადასტურა ევროპის განვითარების ბანკის მონაცემები, რომლის თანახმადაც, რუსეთიდან 220 მილიარდი აშშ დოლარის „კაპიტალი გაიქცა“ და რუსული რუბლის დევალვაციის შეჩერებას 100 მილიარდზე მეტი აშშ დოლარი დასჭირდა. გარდა ამისა, მან თქვა, რომ რუსული ეკონომიკისთვის 200 მილიარდი აშშ დოლარი მეტია რუსეთის ოქროსა და სავალუტო რეზერვებზე.

რუსეთის საფონდო ინდექსები კატასტროფულად ეცემა. რუბლის გაუფასურება, როგორც ნეგატიური გარე ფაქტორი, შესაძლოა, აისახოს ქართული ლარის მსყიდველობით უნარზე იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წლის ნახევრის მონაცემებით, რუსეთი საქართველოს მეოთხე საგარეო-სავაჭრო პარტნიორია ბევრ ქართველ ექსპერტს სამართლიანად მიაჩნია, რომ საქართველომ და იმ ქვეყნებმა, რომლებისთვისაც რუსულ-უკრაინულ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაზღვრული სტრატეგია უნდა შეიმუშაონ.

რუსეთში რუბლის, უკრაინაში — გრივნას, თურქეთში ლირას გაუფასურებამ არ შეიძლება, არ დასწიოს ქართული ლარის მსყიდველობითი უნარი.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ შარშან რუსეთის მიმართულებით რამდენჯერმე გაიზარდა ექსპორტის მოცულობა ღვინისა და მინერალური წყლების ხარჯზე. ამ ქვეყანაზე მოდის ღვინის ექსპორტის თითქმის ნახევარი და მინერალური წყლების მეოთხედზე მეტი. ღირებულებითი ფორმით კი მან უკვე გადააჭარბა 2005 წლის პიკურ მაჩვენებელს. მოსალოდნელია გარკვეული ცვლილება მოხდეს უკრაინასთან დაკავშირებით. იქ მიმდინარე მოვლენებმა შეიძლება შეცვალოს საქართველოს საექსპორტო გეოგრაფია, განსაკუთრებით, აგრარული დანიშნულების საქონლის ექსპორტისთვის.

ჯერ კიდევ ა/წლის მარტში, რფ-ს პრეზიდენტის ვ. პუტინის მეგობრის იური კოვალჩუკის კუთვნილ „ბანკი როსიას“ წინააღმდეგ აშშ-ს სანქციების შემოღების შემდეგ, „ვიზამ“ და „მასტერკარდმა“ შეწყვიტეს მსოფლიო მასშტაბით ბანკის საკრედიტო ბარათების მიღება. ამის შედეგად ბანკმა დაკარგა დეპოზიტების მესამედი (360 მლნ დოლარამდე) და ამჟამად საქმიანობს მხოლოდ რუსეთის მასშტაბით და მხოლოდ რუბლებით, „სბერბანკის“ საგადამხდელო სისტემის მეშვეობით აწარმოებს ოპერაციებს. სანქციების გამო, რუსეთის ზოგიერთ იურიდიულ და ფიზიკურ პირს თავისი ბანკებისდმი წვდომა შეუზღუდა ისეთმა მნიშვნელოვანმა საფინანსო ცენტრმა, როგორიცაა შვეიცარია.

არადა, ამ ბანკებს საქართველოს საფინანსო სექტორში სერიოზული ინტერესები გააჩნიათ. 2013 წელს საქართველოში მოქმედ ბანკებს შორის უმაღლესი საკრედიტო რეიტინგი — „BB“ გააჩნდა რუსული „ვი-თიბის“ შვილობილ „ვითიბი ბანკ (ჯორჯიას)“.რუსულმა „ვითიბი ბანკმა“ ჯერ კიდევ 2005 წელს „გაერთიანებული ქართული ბანკი“ იყიდა. მაშინ „გაერთიანებული ქართული ბანკი“ საბანკო სისტემის დაახლოებით 10%-ს წარმოადგენდა. დღეს ეს საფინანსო ინსტიტუტი ვითიბის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის წევრია. ვითიბი ჯგუფის ბანკები 20-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. ვითიბი ჯგუფის უნივერსალური მოდელი მოიცავს: კორპორატიულ, საცალო და საინვესტიციო ბიზნესს. 2013 წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე „ვითიბი ბანკი (ჯორჯია)“-ს მთლიანი აქტივების მოცულობა საქართველოში 42%-ით გაიზარდა და 766 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2013 წლის განმავლობაში ამ ბანკის საკრედიტო პორტფელი 29%-ით გაიზარდა და 477 მილიონი ლარი შეადგინა, დეპოზიტების მოცულობა კი გაიზარდა 70%-ით და 499.5 მილიონი ლარი შეადგინა.

საინტერესოა, რომ მართალია, რუსული ბანკების მიერ „ლიბერთი ბანკისა“ და „თიბისი ბანკის“ შეძენის შესახებ ინფორმაცია ყველა მხარემ უარყო, გარკვეულ ოპოზიციურ წრეებში რუსული ფინანსური ინსტიტუტების საქართველოსადმი ინტერესის შესახებ კვლავ საუბრობენ. 2013 წელს ქართულ მედიაში ინტენსიურად ვრცელდებოდა გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომ თითქოს პრაქტიკულად დამთავრდა შეთანხმება, რომლითაც „ლიბერთი ბანკი“ იყიდა თანამედროვე ანტირუსული სანქციების ქვეშ მოყოლილმა „სბერბანკმა“, — რუსეთის სახელმწიფო ბანკმა. გარდა ამისა, გაჟღერდა მოსაზრება თითქოს „ალფა ბანკი“, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული კრემლთან, ყიდულობს „თიბისი ბანკს“. ქართული საბანკო სექტორისადმი „გაზპრომბანკის“ ინტერესზეც საუბრობენ. ადრე ვრცელდებოდა განცხადებები, რომ ამჟამად სანქცირებული რუსეთის სახელმწიფოს კუთვნილი „გაზპრომბანკი“ არასდროს გეგმავდა ბანკების შეძენას საქართველოს ტერიტორიაზე“. თუმცა, უკვე 2013 წლის თებერვალში ეკონომიკური განვითარების მინისტრი გ. კვირიკაშვილი არ გამორიცხავდა, ასეთი მოლაპარაკებების მიმდინარეობას.

აღსანიშნავია, რომ რუსული ბანკების დასავლეთის კაპიტალის ბაზრებზე ხელმიუწვდომლობამ, შესაძლოა, უახლოეს თვეებში არ გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები, რადგან რუსულ ბანკებს ჯერჯერობით საკმარისი სახსრები გააჩნიათ საკუთარი ვალდებულებების გასასტუმრებლად. მაგრამ, პრობლემები, შესაძლოა, უკვე 2015 წლისათვის გაჩნდეს, ანუ იმ დროისათვის, როდესაც დგება აღებული კრედიტების გადახდის დრო და იწურება საშეღავათო ვადები. ამ დროისთვის, ანტირუსული სანქციების გამო საგარეო დაფინანსებას მოკლებული რუსული სახელმწიფო ბანკები შეეცდებიან დამატებითი საფინანსო რესურსები შიდა ბაზარზე და იმ ქვეყნების ბაზრებზე ეძებონ (მათ შორის, საქართველოში), სადაც უამრავი შვილეული კომპანია აქვთ. არაა გამორიცხული, რომ ამ პროცესის დროს რუსულმა სახელმწიფო ბანკებმა დაიწყონ ზოგიერთი ქართული შვილეული ბანკის მყიდველის ძებნა, რაც საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის საფინანსო ბაზარზე საკრედიტო რესურსების „შიმშილს“ გამოიწვევს და გაზრდის საპროცენტო განაკვეთებს.

ამრიგად, ანტირუსული სანქციების გამკაცრება საქართველოზე გამავალ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტების დაჩქარებაზე და, აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ტარიფებზე პოზიტიურად იმოქმედებს, ხოლო საფინანსო სექტორზე — ნეგატიურად.

ზურაბ გარაყანიძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

◎ ვინ როგორ ხედავს

კიდევ კარგი, უცხოეთში ჩვენს გაზეთებს რომ არ კითხულობენ!

ამ ბოლო ხანს ხშირად მოვისმენთ ასეთ ხატოვან გამონათქვამს: დინების მიმართულებით მცურავი თევზები მიცურავენ.

საიდან წარმოიშვა ეს ხატოვანი გამონათქვამი?

დადგენილი ჭეშმარიტებაა: ყოველგვარ მოვლენას — ფიზიკურს, ბიოლოგიურს, საზოგადოებრივს — წარმართავს რაღაც ობიექტური ფაქტორები. რასაკვირველია, საზოგადოების განვითარება არ არის ამოვარდნილი საერთო კანონზომიერებიდან.

სახელმწიფოს მმართველი, რომელიც თვითნებურად მართავს ქვეყანას, ყურადღებას არ აქცევს ობიექტურ ფაქტორებს, სხვის რჩევას უგულებელყოფს, იწოდება ვოლუნტარისტად. ვოლუნტარისტი თავის თავში დიქტატორობასაც მოიცავს, მაგრამ დიქტატორი შეიძლება იყოს ობიექტური ფაქტორების გამთვალისწინებელი და სხვისი რჩევის ყურადმღები. ზოგჯერ დიქტატორები მრავალი წელი მართავენ ქვეყანას, ხოლო ვოლუნტარისტები — მალე ამთავრებენ კარიერას. სწორედ ვოლუნტარისტებზე იტყვიან: დინების საწინააღმდეგოდ მიდიანო.

ტერმინოლოგიაში სწორად გარკვევა გვმართებს

ისე, სიმართლე რომ ითქვას, თევზებიც მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ათასობით კილომეტრს ცურავენ, ადამიანები კიდევ მეტს — საცურაო აპარატის გამოყენებით, ხოლო ზემოგამონათქვამი აფორიზმი ვოლუნტარიზმის ხატოვანი უარყოფაა.

ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული იყო ფოტო — ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი თეთრი რაშით და სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა: „იყავით მუდამ დინების საწინააღმდეგოდ მცურავი — და ყოველთვის გამარჯვებული გამოხვალთ... „ესე იგი, პრემიერს უსურვეს ვოლუნტარისტობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არ გაითვალისწინოს ობიექტური ფაქტორები, ხალხისა და ჭკვიანი ადამიანების რჩევები.

როცა ვერ ვერკვევით ტერმინებში და არ ვიცით, რისთვის შეთხზეს ესა თუ ის ხატოვანი გამონათქვამი, სჯობს, საერთოდ, მათ გამოყენებაზე უარი ვთქვათ.

ნიკო ნიკოლაძე ზოგჯერ საკუთარ მეგობრებს (მამულიშვილებს) ასე მიუთითებდა: წერეთ იმაზე, რაზედაც ხელი მიგიწვდებათ, თქვენთვის გაუგებარ თემაზე წერა ემსგავსება უშინაარსო ღაღადისს. ამგვარი სიმართლის თქმამ ნიკოლაძე ერთხელ დუელამდეც კი მიიყვანა.

ორიოდე სიტყვა რუსეთუმეებზეც.

მრავალი სტატია გამომიქვეყნებია იმის თაობაზე, რომ რუსეთთან დამოკიდებულებაში არ ვითვალისწინებდით ობიექტურ ფაქტორებს და მივიღეთ შესატყვისი შედეგი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსული იმპერიის ყველა ქმედება გავამართლოთ და მას ხოტბა შევასხათ, რასაც ასე ხალისით სჩადიან ქართველი რუსეთუმეები. ეს ვრცელი თემაა და რამდენიმე ფრაზით ამის ჩვენება შეუძლებელია. მხოლოდ ორიოდე სიტყვით მსურს ვთქვა ქართველი რუსეთუმეების მოსაზრებანი უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ.

მათი აზრით, უკრაინელმა ნეოფაშისტებმა ქვეყნიდან განდევნეს კანონიერი ხელისუფლება და ძალაუფლება მიითვისეს. უკრაინას ვინ დაეძებს, ამით უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს რუსეთი და მისი ხელმძღვანელი პუტინი... შემდეგ ეს რუსეთუმეები მოჰყვებიან უკრაინელი ხალხის საამაყო შვილების ლანძღვა-გინებას. თურმე, სტეპან ბანდერა ფაშისტი ყოფილა, არადა, იგი მრავალათასიანი მეამბოხით მედგრად ებრძოდა როგორც წითელ არმიას, ისე ფაშისტებს. ბანდერა უკრაინელი ხალხის უსაყვარლესი სახალხო გმირია. ყველა უკრაინელის ოჯახში როგორც ტარას შევჩენკოს, ისე ბანდერას სურათიც კედელზე ჰკიდია და მათზე ლოცულობენ. რუსეთუმეები აგრეთვე აუგად მოიხსენიებენ საქვეყნოდ ცნობილ ინტელექტუალს მიხეილ გრუშევსკის, რომელმაც უკრაინის ისტორიის ათი ტომი საკუთარი ხელით დაწერა. ამ დონის ინტელექტუალი დღესაც ძნელად მოიპოვება მსოფლიოში, ტარას შევჩენკოსა და კოტლიარევსკიზე რომ არაფერი ვთქვათ.

საერთოდ, უკრაინა რომც არ ყოფილიყო, უნდა გამოგვეგონებინა... არის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო — უკრაინა, რომელსაც შეუძლია, ასე თუ ისე, შეაფერხოს ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე რუსული იმპერიის ზეგავლენა და ეს შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვათ. როგორც ვხედავთ, ეს კარგად ესმით დიდ სახელმწიფოებს — აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, იაპონიას, ევროპის სხვა სახელმწიფოებს და შესაბამისადაც მოქმედებენ.

საქართველო პატარა ქვეყანაა, რასაკვირველია, დიდ სახელმწიფოებს ვერ აჰყვება რუსეთთან დამოკიდებულებაში, სანქციებს ვერ დაუწესებს... მეტიც, მან ოსტატურად უნდა გამოიყენოს რუსეთის უთანხმოება უკრაინასთან და რუსეთი აიძულოს, ზოგ საკითხში დათმობაზეც კი წამოვიდეს. სწორედ ეს იქნება ობიექტური ფაქტორების გათვალისწინება და არა ვოლუნტარიზმი. მაგრამ დიპლომატიური წიაღსვლები სრულიადაც არ ნიშნავს თვითმყოფადობისთვის, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი უკრაინელი ხალხი გავლანძღოთ, რასაც სჩადიან ქართველი რუსეთუმეები.

ზომიერი მხარდაჭერა და სოლიდარობა უნდა გამოვუცხადოთ უკრაინელ ხალხს, როგორიც შეეფერება პატარა და მრავალპრობლემიან საქართველოს. ასევე დასაგმობია ამ საკითხში სააკისტების მჩატე ხუნტრუცი, რაც კიდევ უფრო დაგვიმძიმებს მდგომარეობას.

კიდევ კარგი, რომ ქართულ გაზეთებს საზღვარგარეთ არავინ კითხულობს, თორემ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით. უკრაინელებმა რომ გვაპატიონ თავიანთი გმირების შეურაცხყოფა, საზღვარგარეთი არ გვაპატიებს მსოფლიო მოქალაქეების აუგად ხსენებას. ზემოთ დასახელებული უკრაინელი მამულიშვილები კი დიდი ხანია, მსოფლიო მოქალაქეებად არიან აღიარებულნი.

მოკლედ რომ ვთქვათ, გაზეთის ფურცლები მხოლოდ და მხოლოდ ინტელექტუალებს უნდა დაეთმოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი გაუგებრობები და მოვლენების არასწორი შეფასება კვლავ მოხდება.

ვაჟა ჟღენტი,
საბჭოთა პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე

◎ კაკალ გულში

კაზანტიპის რესპუბლიკაში „პაკრიშკები“ დაწვეს...

● თითქოს არაფერი, მაგრამ ნავაროს საქართველოდან წასვლა ისე განვიცადე, თითქოს სხეულის ნაწილი ამომგლიჯესო. ეგრე საყვარლად არავინ ტყუოდა. ვიხსენებ 1 ოქტომბრამდე მის კვლევებს და ინგა გრიგოლია, გიორგი თარგამაძე, ბაჩუკი ქარდავა უსწრებდა რეიტინგით ბიძინა ივანიშვილს.

ძალიან ძალიან დააკლდები ჩემ მუზას ბატონო ლუის. თქვენ ჩემი ბავშვობის მიუნჰაუზენი მოწიფულობაში ჩამინაცვლეთ. სულ სიკეთეში და იმ სიმართლეში მოიხმარე საქრთველოდან გაზიდული ის მილიონები, რა სიმართლითაც შენ აქვეყნებდი კვლევებს, ჩემო უანგაროვ და სამართლიანო.

● საბჭოთა ნოსტალგია რას ქვია, რომ გავბედავთ და ან ბავშვობას გავიხსენებთ ან კიდევ ჯეელობას?

● ვიცოდი რაღაც გამიხარდებოდა!

95 ქვეყნის მოქალაქე შეძლებს საქართველოში უვიზოდ შემოსვლას.

წერილოვანი ოჩაზები

ახლა ტურისტების ჯარები მოაწყდება ჩვენს ქვეყანას და ბინების გაქირავების ბიზნესიც აყვავდება.

უნდა სასწრაფოდ ჩემი სხვენი გავაკოსმეტიკო და ვინმე მეტ-ნაკლებად

თეთრკანიანს მივაქირავო.

მივაქირავებ და ვიხეირებ.

ისე, ჩვენ როდის გვექნება უფლება, იმ 95 ქვეყანაში უვიზოდ რომ ჩავიდეთ და დავყნოსოთ იქაურობა?

● კაზანტიპის რესპუბლიკაში პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით „პაკრიშკები“ დაწვეს, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ჰქონიათ.

● დარჩიაშვილმა პუტინის მზარეული დაწყევლა — მსოფლიო მოუთმენლად ელის შედეგებს...

● პროვინციალიზმსაც უკვე უკულმართული დატვირთვა მიეცა საქართველოში. თუ მე ვარ განათლებული, სწორად აღზრდილი, მაგრამ არ ვიცი ყველაზე მოდური სალონების, კაფე-ბარების და რესტორნების დასახელება, არ ვიცნობ თავცარიელ ფსევდოელიტას და ბომონდს, პროვინციალკა ვარ ხომ?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ადმირალი სტავრიდისი: ნატომ შავ ზღვაზე ფლოტი უნდა გააძლიეროს

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შესაბამისად, უელსის სამიტზე მთავარი თემა ალიანსის კოლექტიური თავდაცვის საკითხები იქნება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის კოლექტიური თავდაცვა ძალიან მარტივად ნიშნავს იმას, რომ 28 წევრი ქვეყნიდან ერთ-ერთზე თავდასხმა მთლიანად ნატოს ბლოკზე, დანარჩენ ქვეყნებზე თავდასხმასაც გულისხმობს. „უოლ სტრიტ ჯორნელში“ გამოქვეყნებულ ბოლო სტატიაში ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ალიანსს საკუთარი, „თითქმის მილიარდამდე მოქალაქის თავდაცვის სურვილი და მზადყოფნა უნდა ჰქონდეს“. ჟურნალისტთან საუბარში რასმუსენმა დააკონკრეტა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერების მხრიდან იმისათვის, რომ ალიანსი უფრო სწრაფი, ეფექტიანი და მოქნილი გახდეს, რათა „მომავლის გამოწვევებს, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ისინი“, საკადრისი პასუხი გაეცეს.

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ ნატოს კოლექტიური თავდაცვის დოქტრინამ ისევ წინა პლანზე წამოიწია. რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია განახორციელა და დღეს აგრძელებს აღმოსავლეთ უკრაინაში პრორუსული განწყობის მქონე სეპარატისტების მხარდაჭერას. გადამდგარი ადმირალი ჯეიმს სტავრიდისი, რომელიც წარსულში ნატოს ერთ-ერთი მეთაური იყო, ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს აგრესიული მოქმედება უკან ძალიან ცუდად დაუბრუნდება.

„პრეზიდენტ პუტინის სტრატეგია მისი სტრატეგიული მარცხი გახდება. ეს საბოლოო ჯამში ნატოს აძლიერებს. მეტი გადაწყვეტილებების მიღებისკენ უბიძგებს მას და ბევრად მეტ ერთობას შთააგონებს, ვიდრე ეს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებამდე იყო“, — აცხადებს ადმირალი სტავრიდისი.

რუსეთის ქმედება ნატოს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, შიშსაც კი იწვევს. ისინი შიშობენ, რომ მოსკოვი, შესაძლოა, თავს მათაც, ანუ ნატოს წევრ ქვეყნებსაც, დაესხას.

შონ ქეი ოჰაიოს უესლინის უნივერსიტეტში ნატოს ექსპერტია და ძალთა ბალანსს აფასებს: **„რაც შეეხება ნატოს მოკავშირეების თავდაცვას რუსეთის წინააღმდეგ, უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს საერთო ჯამში განუზომლად დიდი სამხედრო უპირატესობა აქვთ. ძალთა დაპირისპირებაში უპირობოდ დასავლეთი გადასწონის. აქ საკითხი სხვაგვარად დგას: როგორ უნდა მოხდეს ამ ძლიერების გამოყენება ისე, რომ რუსეთთან დღევანდელი მათი მოქმედების შესაფერისი სამომავლო ურთიერთობა ჩამოყალიბდეს“,** — აღნიშნავს პროფესორი ქეი.

ადმირალი სტავრიდისი ამ თემაზე ხუმრობს კიდეც და ამბობს, რომ მას „ნატოზე რუსეთის თავდასხმის საფრთხე ძილს ვერაფრით დაუფრთხობს“. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, ის მიიჩნევს, რომ ალიანსმა აუცილებელი ზომები უნდა მიიღოს და მტკიცე ნაბიჯები გადადგას.

„ალიანსის საზღვრებზე საპატრულო თვითმფრინავების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. ასევე უნდა გაიზარდოს საზღვაო ფლოტის შემადგენლობა როგორც ჩრდილოეთში - ბალტიის ზღვაზე, ასევე სამხრეთში — შავ ზღვაზე. ჩემი აზრით, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უნდა დავეხმაროთ მოწყობილობებით, წვრთნით და რჩევებით კიბერ-უსაფრთხოების დარგში, რადგან, თუ რუსეთი შემდეგ ნაბიჯს გადადგამს და შეიჭრება უკრაინაში, იგი მაქსიმალურად მომზადებული დახვდეს“, — აცხადებს ადმირალი სტავრიდისი.

მართალია, სტავრიდისი მომავალში რუსეთ-დასავლეთს შორის ცივი ომის განახლების საშიშროებას ვერ ხედავს, მაგრამ ამბობს, რომ ნატოს და რუსეთს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზრდება. ადმირალის თქმით, ნატოს მომავალ სამიტზე ყურადღება ალიანსის მიერ ავღანეთში ბოლო 10 წლის მანძილზე შესრულებულ როლზეც გამახვილდება. ასევე იგეგმება წევრი ქვეყნების მიერ თავდაცვის სფეროში დანახარჯების საკითხთა განხილვაც.

...თეატრის ხურო ნახევარ მილიონამდე დოლარს იღებს

პრესტიჟული პროფესიების პარალელურად, ნებისმიერ საქმის კარგ შემსრულებლებს სოლიდური ჯამაგირი აქვთ.

ბავშვობაში, ალბათ, მშობლებისგან ბევრს მოუსმენია რჩევა, რომ სამომავლოდ პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი პროფესია აერჩია. იურისტი, ექიმი, საბანკო საქმის სპეციალისტი — მიიჩნევა, რომ დღეს ამ პროფესიის ადამიანებს არცთუ ისე ცუდად უხდიან. თუმცა, ამ პრესტიჟული პროფესიების პარალელურად, არსებობს საქმიანობები, რომლის შემსრულებლებს საკმაოდ კარგი ჯამაგირი აქვთ.

BBC Capital-მა ის პროფესიები და ანაზღაურების მოცულობა შეისწავლა, რომელსაც პრესტიჟული პროფესიების ნუსხაში შეიძლება ვერ შეხვდე, მაგრამ შემოსავალს ნამდვილად არ უჩივიან.

ყველაზე კარგად ანაზღაურებადი პროფესიები

მაგალითად, ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი საქმიანობა თეატრის ხუროობა. „კარნეგი ჰოლის“ ყველაზე დაბალანაზღაურებადი ხის ხელოსნის ხელფასი წელიწადში 300 ათასი დოლარია, ხოლო მთავარი რეკვიზიტორი წელიწადში თურმე 400 ათას დოლარსაც კი იღებს. „მეტროპოლიტენ ოპერაში“ კი მთავარი ხუროს ხელფასი 500 ათას დოლარსაც კი აღწევს.

საკმაოდ მომგებიანია ასევე ამწეზე მუშაობა იმ ქალაქებში, სადაც მაღალსართულიანი შენობები შენდება. მაგალითად, ნიუ-იორკში ამწეს მძღოლის წლიურმა ჯამაგირმა შეესაძლოა, ნახევარი მილიონი დოლარიც კი შეადგინოს.

საკმაოდ კარგი შემოსავლები აქვთ მათ, ვისი საქმიანობაც ძაღლების გასეირნებაა. ერთი ძაღლის გასეირნებისთვის ამ საქმიანობით დაკავებული ადამიანები საშუალოდ დღეში 25 დოლარს იღებენ. ერთ ადამიანს კი შეუძლია ერთდროულად 8-9 ძაღლიც კი გაასეირნოს და დღეში ამისთვის მხოლოდ სამი საათი დასჭირდეს.

საკმაოდ კარგი შემოსავალი აქვთ კერძო აუზების გაწმენდის სპეციალისტებს. ნახევარი წლის განმავლობაში მათი შემოსავალი საშუალოდ 60 ათასი დოლარია. ხშირ შემთხვევაში ამას ე.წ. „ჩაის ფულიც“ ემატება.

შემოსავლებს არ უჩივიან ამერიკულ სავაჭრო ობიექტებსა და აფთიაქებში დასაქმებული გაყიდვების მენეჯერები. უმაღლესი განათლების მიღების გარეშე და მხოლოდ შესაბამისი, ხანმოკლე სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, შესაძლებელია, მენეჯერის ისეთი თვისებები შეიძინო, რომ შენმა შემოსავალმა წელიწადში 200 ათას დოლარსაც კი მიაღწიოს. ამიტომ ხშირია, როცა ამერიკელი მენეჯერები 40 წლის ასაკში უკვე პენსიაზე გადიან და უზრუნველად ცხოვრობენ.

არის პროფესიები, რომელთა საქმიანობა კლიენტების განწყობის ამაღლებაზე მოქმედებს. მაგალითად, ინდოეთში თმის სტილისტს აქვს შანსი, იმაზე მეტი გამოიმუშავოს, ვიდრე პროგრამისტმა. დამწყები დალაქი ინდოეთში თვეში საშუალოდ 500 დოლარს გამოიმუშავებს.

დედამიწის ზურგზე

ირანელი გენერალი ისრაელს მოულოდნელი თავდასხმით დაემუქრა

ირანელი სამხედროების საომარი განწყობილების განცხადებები გაისმა მას შემდეგ, რაც ისლამის რესპუბლიკის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვამ ჩამოაგდო სავარაუდოდ ისრაელის დაზვერვის უპილოტო თვითმფრინავი ნატანზის რაიონში, სადაც არის ურანის გამამდიდრებელი საწარმო. ირანმა დღემდე არ წარმოადგინა დადასტურება ამ უპილოტო თვითმფრინავის კუთვნილების შესახებ, მაგრამ უკვე დაემუქრა ისრაელს მრავალრიცხოვანი სასჯელებით.

ევროკავშირმა მინსკს შესთავაზა, დაიწყოს მოლაპარაკება დროებით ზავზე უკრაინაში, იტყობინება ეშტონი

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საზღვარგარეთის საქმეებსა და პოლიტიკური უსაფრთხოების საკითხებზე ოთხშაბათს ღამით შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს პუტინთან მისი მოლაპარაკების შემდეგ. მოლაპარაკება მინსკში ფორმატით ევროკავშირი — უკრაინა კეტრინ ეშტონმა შეაფასა, როგორც „ღია და პოზიტიური“: „მოლაპარაკება მიმდინარეობდა ყველა მხარის სრული გაგებით, გააკეთონ ყველაფერი შესაძლებელი კრიზისის დასაძლევად“.

ნატო აპირებს, გაშალოს ახალი ბაზები აღმოსავლეთ ევროპაში, რათა დაუპირისპირდეს რუსულ საფრთხეს

ალიანსის გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სიტყვებით, ეს ბაზები სწრაფი რეაგირების შესაძლებლობით შეიძლება იყოს პასუხი უკრაინის კრიზისზე და რუსეთის შესაძლო აგრესიაზე ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ. დეტალები შეთანხმებული უნდა იყოს კარდიფში სამიტზე, რომელიც მომავალ კვირას გაიმართება. რასმუსენს ეჭვი არ ეპარება, რომ ცნობა მოსკოვის მწვავე რეაქციას გამოიწვევს.

ნასამ მზეზე ცხრა აფეთქების ფოტო გადაიღო. მეცნიერები არ გამორიცხავენ კატაკლიზმებს

მზის აქტივობაზე თვალყურის დევნება საშუალებას აძლევს მეცნიერებს, გააკეთონ პროგნოზი უახლოეს წლებში მეგაკლასის აფეთქებების გამოჩენის შესახებ,



რომლებმაც შეიძლება დედამიწაზე სერიოზულ ტექნოგენურ კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ამას გარდა, მზის მორიგი ციკლის „სისუსტემ“ შეიძლება მიგვიყვანოს კლიმატის ცვლილებასთან დედამიწაზე აცივების მიმართულებით.

პარიზული ვირთაგვების შემოსევა

ფრანგული **პრესის ცნობით, პარიზის ცენტრში დღესდღეობით იქაურ მოსახლეობაზე ოთხჯერ მეტია იქ მობინადრე ვირთაგვაა! ბოლო 5 წლის მანძილზე ამ მღრღნელთა რიცხვმა 40 პროცენტით მოიმატა და 6 მილიონ სულს მიაღწია. ზაფხულში მდინარე სენაში წყლის დონის ვარდნის გამო ვირთაგვები საკანალიზაციო სისტემებიდან ზედაპირზე ამოდიან.**



თუმცა ბევრი მღრღნელთა რიცხვის ზრდას მრავალი ახალი, მათ შორის ისეთი დიდი სამშენებლო მოედნის გაჩენით ხსნის, როგორიცაა, მაგალითად, სარკინიგზო სადგურის სენ-ლაზარის მოდერნიზება. ახლა ვირთაგვები უმაღლესი ხარისხის სასტუმროებსა და რესტორნებში, სოლიდურ სახელმწიფო დაწესებულებებშიც გაჩნდნენ. ყოველი მეოთხე ხანძარი იმის გამო ჩნდება, რომ მღრღნელები ელექტროგაყვნილობას აზიანებენ. ამდენად, მღრნელებთან ბრძოლა რესტორნებსა და სასტუმროებს უკვე კანონით აქვთ დაკისრებული, თუმცა კი, ამას რამდენადმე საგრძნობი შედეგი ჯერჯერობით არ მოყოლია.

ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, სადაც ორ კაცზე ერთი ვირთხა მოდის, რაც შეუდარებლად დაბალი მაჩვენებელია ნიუ-იორკთან შედარებით, სადაც კაცზე 15 ვირთაგვა მოდის!

„ნოე“... მცურავი ქალაქი

უზარმაზარი პირამიდის ფორმის უნიკალური მცურავი ქალაქის პროექტი შექმნეს ამერიკელმა არქიტექორებმა. მომავლის ამ ჭეშმარიტად ფანტასტიკურ ქალაქს ცურვის უნარის წყალობით ნებისმიერ წყალდიდობის თუ ქარიშხლის გაძლება შეეძლება.

პროექტის ხელმძღვანელმა არქიტექტორმა კევინ შოპფერმა, თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად მას „ნიუ ორლეანის არკოლოგიური საცხოვრისი“ დაარქვა. სიტყვა „არკოლოგია“ სიტყვების „არქიტექტურისა“ და „ეკოლოგიის“ სინთეზია, ასევე საკმაოდ სიმბოლურად ჟღერს პროექტის ინგლისური აბრევიატურა – NOAH, რაც „ნოეს“ ნიშნავს.

მცურავი ქალაქი 40 ათას მცხოვრებზეა გათვლილი და ავტონომიური ინფრასტრუქტურით სრულადაა უზრუნველყოფილი – მასში განთავსდება სკოლები, საავადმყოფოები, მაღაზიები, რესტორნები, ოფისები, პოლიციის უბნები, კაზინოები, ოფისები... ქალაქი სამ დახრილ გოდოლს წარმოადგენს, რომლებიც წვერებით ერთდებიან, შუაში ცარიელი სივრცეა. მცურავი ქალაქის სიმაღლე 366 მეტრი იქნება, ენერგიას მოსახლეობა მზის ბატარეებიდან და ქარის ტურბინებიდან მიიღებს, ხოლო სასმელად გასუფთავებულ წვიმის წყალს გამოიყენებს. ვარაუდობენ, რომ NOAH ნიუ ორლეანთან მახლობლად მდინარე მისისიპიში უზარმაზარ აუზში იცურებს, რომლის დიამეტრი 366 მეტრი, სიღრმე კი 76 მეტრი იქნება.

წყლის ზედაპირზე გაჩერებას NOAH უამრავი ცარიელი ბეტონის უჯრედის წყალობით შეძლებს, რომლებიც ნაგებობების საძირკველში იქნება განთავსებული. კონსტრუქციის წყალობით მცურავი ქალაქი ყველაზე ძლიერ ქარიშხალსაც კი გაუძლებს, მისი აგება 6-10 წელიწადშია შესაძლებელი.

საქმროზე უკეთესია... კატა

იტალიის ცხოველთა და გარემოს დაცვის ასოციაციამ ერთობ საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა, რომლის შესახებ მკითხველებს გაზეთ „ლა სტამპას“ ფურცლებზე ჟურნალისტმა როზალინა სალოებიმ მოუთხრო.

„ასეთი ინდივიდუალისტები რომ არ იყვნენ, კატები დედამიწაზე დომინანტ ცხოველებად გადაიქცეოდნენ“, თქვა თავის დროზე ცნობილმა ამერიკელმა ფანტასტმა რეი ბრედბერიმ. დღესდღეობით მათ ჩვენი ბინები დაიპყრეს (იტალიაში რვა მილიონი კატაა) და მათ „მარტოხელა ადამიანების საუკეთესო მეგობრებს“ უწოდებენ. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ კატების დღესასწაული 17 თებერვალსაა, წმინდა ფაუსტის დღიდან ორი დღის შემდეგ, რომელიც მარტოხელების მფარველია და რომლებსაც კატებთან ბევრი საერთო აქვთ – მაგალითად, თავისუფლების სიყვარული, სიამაყე. იტალიის ცხოველთა და გარემოს დაცვის ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა ბოლო წლების მეტად საგულისხმო ტენდენცია. მარტოხელა ადამიანების 35 პროცენტს (მათი უმეტესობა ქალია), თუკი ისინი მთელ დღეს სამსახურში ატარებენ, სახლში კატა ჰყავთ. ბევრის აზრით კი, სულაც „უმჯობესია, სახლში კატა გყავდეს, ვიდრე კართან ატუზული საქმრო“.

ფსიქოლოგ სიუზენ ფილიპსის აზრით, კატებზე დაკვირვებით, მათგან ბევრი რამის სწავლება შეიძლება. კერძოდ, კატებივით თუ მოვიქცევით, ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობები გაცილებით უკეთესი იქნება. საამისოდ კი რამდენიმე მარტივი წესის დაცვაა საჭირო: უნდა იყოთ სალმიანი და ალერსიანი, მომბოდიშებელი და შემწყნარებელი, არც საკუთარი თავის და, მით უმეტეს, არც სხვის განმსჯელი.

იდუმალი სამყარო

გარემოში **ფანტომების, რომელთა რიცხვს მოჩვენებებსაც მიაკუთვნებენ, არსებობის თეორიას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგრამ, ასეთი ფანტომები არ არიან რეალური არსებები, მათ უფრო ადამიანის გონების ანაბეჭდები ანუ ჰოლოგრამები შეიძლება ვუწოდოთ, რომლებიც მთელი რიგი მიზეზის გამო დედამიწაზე პატრონის სხეულის გარდაცვალების შემდეგ დარჩნენ.**

ასეთი ენერგეტიკული ასლები ხშირად გარკვეულ ადგილებზე არიან მიბმული, საიდანაც საარსებოდ საჭირო ძალებს ისრუტავენ. **ფანტომი – ესაა რაღაც არარსებული, თუმცა კი, ამავდროულად, შესაგრძნები რამ**. ოფიციალურ მედიცინაშიც კი არსებობს „ფანტომური ტკივილის“ განმარტება, როცა მოკვეთის შემდეგ კაცი დიდი ხნის მანძილზე უკვე დაკარგულ კიდურში ტკივილს გრძნობს.

ბოლო დროს მეცნიერები ფანტომებად არა მარტო შემთხვევით წარმოშობილ ბიოენერგეტიკულ სტრუქტურებს, არამედ ცოცხალ ორგანიზმთა განუყოფელ ნაწილებსაც მიიჩნევენ, რომლებიც განსაკუთრებულ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ ველებში წარმოიშვება ამ ცვლილებების (ელექტრომაგნიტურისა და გრავიტაციულის გარდა) არსებობა ჯერ კიდევ ალბერტ აინშტაინმა იწინასწარმეტყველა, ხოლო ასტროფიზიკოსმა ნიკოლოზ კოზირევმა აზრი გამოთქვა, რომ ეს დროის ველებია. არადა, ალბათობის თეორიაზე დაყრდნობით, **მრავალი მეცნიერი კი სულაც არა დროის, არამედ ტორსიულ ველებზე ლაპარაკობს, ანუ ისეთ სივრცეებზე, რომლებსაც გამრუდების თვისებებთან ერთად, ეგრეთ წოდებული ტორების (გრიგალების) წარმოშობის უნარიც გააჩნიათ – მათ სამყაროს ერთი ბოლოდან მეორეში ინფორმაციის გადატანა და შენახვა ენერგიის დაუხარჯავად შეუძლიათ**.

უცნობი ველების შესწავლისას მეცნიერებმა მათი უცნაური თვისება აღმოაჩინეს: თურმე, **მათში ჩაწერილი ინფორმაცია არა მარტო მატერიალურ, არამედ არამატერიალურ ობიექტებსაც ეხება, ანუ იმათ, რომლებსაც მეცნიერულად, „ფანტომებს“ ხალხურად „ეშმაკებს“ ვეძახით!** ბევრს, ალბათ, სმენია, რომ ყველა ადამიანს ორი ერთმანეთის საპირისპირო მრჩეველი ჰყავს – ანგელოზი და ეშმა. თანაც, ანგელოზი კაცს მარჯვენა მხარეს, ეშმა კი მარცხენა მხარეს უზის. ჰოდა, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ **სამყაროში ყოველი სხეულის ირგვლივ საკუთარი საინფორმაციო ველები წარმოიქმნება, რომლებსაც მარჯვენა ან მარცხენა მხარეს ბრუნვა ახასიათებთ**. სწორედ ამ ველებში წარმოიშვებიან ფანტომები – არსებობის დიდი ხნის მქონე და თვითგანვითარებადი საველე წარმონაქმნები. თუკი მარჯვნივ მყოფნი ადამიანზე დადებითად მოქმედებენ (მაგალითად, სულიერ აღმავლობას, ზოგად სიმსუბუქეს და ა. შ. ანიჭებენ), მარცხნივ მყოფნი მას თრგუნავენ, განგაშისა და მოუსვენრობის გრძნობებს უნერგავენ.

არსებობს აზრი, თითქოსდა ძალოვანი ველებით წარმოშობილი ასეთი ფანტომები, კაცობრიობის წინამორბედნი იყვნენ, მაგრამ შემდეგ, რაღაც გარკვეულ მიზეზთა გამო, გაქრნენ, თუმცა კი, საკუთარი თავის შესახებ ის საველე ინფორმაცია დატოვეს, რომელსაც ადამიანები ზოგჯერ აღიქვამენ.

ამჟამად ყველამ იცის, რომ ინფორმაცია ცოცხალი ორგანიზმის შესახებ დნკ-მოლეკულებშია ჩაწერილი, მაგრამ ამ უმცირესი სტრუქტურების შესწავლისას მეცნიერები აქაც „ფანტონურ“ მოვლენას გადაეყარნენ: აღმოჩნდა, რომ **ერთგვარი ტალღოვანი წარმონაქმნი დნკ-მოლეკულის ან ორგანიზმის დაღუპვის შემდეგ... კიდევ 40 დღის მანძილზე ცოცხლობს და ამ დროის მანძილზე ფანტომს ცოცხალ ორგანიზმზე სრულიად რეალური ზემოქმედება შეუძლია!**

ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ ცდების დროს წარმოშობილი ენერგეტიკული ფანტომები საკუთარი სიცოცხლისა და დაღუპვის შესახებ ინფორმაციის მატარებლები არიან, რომლის გადაცემა რაღაც უცობი გზებით ცოცხალ უჯრედებს შეუძლიათ. ამ ინფორმაციის „მიღების“ შემდეგ უჯრედთა ჯანმრთელი ბირთვები იმის მსგავს სპექტრს გამოასხივებენ, როგორსაც დაღუპული ბირთვები. გამოდის, ჯანსაღი მოლეკულების დაცვა დაზიანებული იყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსგავს ფანტომებს მთლიანად ორგანიზმზე ზემოქმედება შეუძლიათ. კერძოდ, მედიკოსებისთვის დიდი გამოცანაა ამჟამად აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში (სიერა-ლეონეში, გამბიაში, გვინეასა და ლიბერიაში) მძვინვარე ებოლას ვირუსი, რომელმაც უკვე თითქმის სამი ათასი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. მისი საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერჯერობით შექმნილი არ არის და, რაც ყველაზე მეტად საგანგაშოა, **მისი გავრცელების გზები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კი, ვარაუდობენ, რომ მისი გადაცემა ტალღური გზით ხდება**. მაგალითად, რომელიმე სნეულებასთან ბრძოლის პროცესში ორგანიზმში მის აღმძვრელთა ფანტომები წარმოიშობიან. მაღალი ბიოლოგიური აქტივობის მქონე ენერგიის ეს „გუნდები“ დნკ-ში აღწევენ და აზიანებენ მათ. შედეგად, ნორმალური პროგრამები ირღვევა და ადამიანს ებოლიის ვირუსით დაავადების სიმპტომები უჩნდება, თუმცა კი, თავად ვირუსები მის ორგანიზმში... არ არის! რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ორგანიზმი ამ დროს არა სნეულების გამომწვევს, არამედ... მის ფანტომს ებრძვის!

ტალღოვან თეორიას ასევე ნათლის მოფენა შეუძლია იმ ამოუხსნელ შემთხვევებზეც, როდესაც ებოლას ციებცხელება ან შიდსისნაირი სერიოზული დაავადებები ადამიანებს ვირუსებთან ან მათ მატარებლებთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე შეყრიათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენ ირგვლივ არსებული მატერიალური სამყარო მჭიდროდაა დაკავშირებული ფანტომურ მოვლენებთან და დედამიწაზე სიცოცხლის ორგანიზებაში მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ამიტომ ტყუილად როდია, ბევრ რელიგიაში ლაპარაკი იმაზე, რომ აზრი (გონება) მატერიალურია, ხოლო დამანგრეველი მოქმედებები საზიანოა არა მარტო მისი უშუალო ჩამდენისათვის, არამედ მისი შთამომავლობისთვისაც. ფანტომები ხომ, არსებითად, ესაა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დიდი ხნის მანძილზე ინახებოდეს არა მარტო ჰოლოგრამების, არამედ ანაბეჭდების სახით, შეუძლია ადამიანის გენეტიკური აპარატის გადაწყობა და ამით მისი ბედის განსაზღვრა.

◎ ჭიდაობა



მსუყე ფინიში

გუშინ ჩინურ ნანძინში დამთავრდა ახალგაზრდობის მეორე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც საქართველოს 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრების ბოლო დღემდე ჩვენი დელეგაციის ყულაბაში მხოლოდ ძიუდოისტ თამაზ კირაკოზაშვილის მიერ მოპოვებული ვერცხლის მედალი იყო. გუშინ კი ჩვენებურთა მონაგარი ორი ჯილდოთი გაიზარდა.

თავისუფალ ჭიდაობაში მექი სიმონიამ (76კგ) ასპარეზობის სტარტზე ტუნისელი აიობ ბარაჯი ადვილად დაამარცხა (4:0), შემდეგ კოლუმბიელი კარლო მენდესი (3:1) და ჰონდურასელი კარლოს რივერაროსალესი დაჯაბნა (4:1) და ფინალში გავიდა, სადაც იაპონელ იჯურო იამასაკის დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქართველი ფალავანი დამარცხდა (0:4) და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

63 კილოში ივერი ჯულაყიძეს პირველსავე წრეში მოეცარა ხელი – აზერბაიჯანელ თემურ მამადოვთან (ჩვენი მეზობელი გუშინ ჩემპიონი გახდა) წააგო, თუმცა დამამშვიდებელ ტურნირში იყოჩაღა – იქ ეგზოტიკური ქვეყნის – პალაუს წარმომადგენელს ჯეიმს დუდასკოს მოუგო (4:1), მერე მას სამხრეთაფრიკელი სტეინ ელბერტი მიაყოლა (4:0), ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ინდოელი ამიტ კუმარი დაჯაბნა 3:1 და მესამე ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

◎ ძიუდო

მერვედფინალი იკმარეს

ჩელიაბინსკში გრძელდება ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. გუშინ ტატამზე 73 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავნები გავიდნენ. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი და ნუგზარ ტატალაშვილი, რომლებმაც მხოლოდ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს და მერვედფინალში გამოეთიშნენ შეჯიბრებას. ტატალაშვილმა თურქმენეთის ნაკრების წევრი სამველ აირაპეტიანი და სომეხი არმენ ნაზარიანი დაამარცხა, მაგრამ ჩრდილოკორეელ კუკ ჰიონ ჰონგთან ვერაფერს გახდა – ვაზარით წააგო. შავდათუაშვილს წილისყრამ გაუმართლა – თავიდან ზედიზედ ორი აფრიკელი მეტოქე შეხვდა, თუმცა მომგებიანი ფანდი ვერც ერთს ვერ ჩაუტარა – განელი ემანუელ ნარტეი და მოზამბიკელი ედსონ მადეირა მხოლოდ გაფრთხილებებით ჩამოიშორა გზიდან. მერვედფინალში აზერბაიჯანელ რუსტამ ორუჯევს დაუპირისპირდა. ძირითად დროში მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს თითო ვაზარი აართვეს, დამატებით დროში აზერბაიჯანელმა კიდევ ერთი ვაზარი მოითვალა და მეოთხედფინალში გავიდა, შავდათუაშვილმა კი, ტატალაშვილის მსგავსად, მაყურებლებში გადაინაცვლა.

დღეს ჩელიაბინსკის ტატამზე 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ძიუდოისტები იბრძოლებენ მედლებისთვის. ქართველთაგან სარბიელზე ავთანდილ ჭრიკიშვილი და უშანგი მარგიანი გავლენ.

ლექსო ციწცაძე

◎ კალათბურთი

ამერიკელებმა სლოვენიელებიც გაანადგურეს

აშშ-ს საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც უკვე ესპანეთში იმყოფება, მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბოლო საკონტროლო მატჩი ჩაატარა და სლოვენია 101:71 გაანადგურა. გრან კანარიაში გამართულ თამაშში ამერიკელთა რიგებში საუკეთესო ენტონი დევისი გახლდათ, რომელმაც 18 ქულა მოაგროვა.

აშშ – სლოვენია 101:71 (24:18, 22:17, 35:19, 20:17)

აშშ: დევისი (18 ქ. 11 მ. 4 ჩ. 4 დ.), ფარიდი (14 ქ.).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო პირველობა 30 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე ესპანეთში ჩატარდება. ამერიკელები C ჯგუფში მოხვდნენ, სადაც მეტოქეებად დომინიკელები, ფინელები, ზელანდიელები, თურქები და უკრაინელები ეყოლებათ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ გამოიცა

ძმების სადიდებელი

დემიკო ლოლაძე

ძმები ნოდიები

„მკითხველს ვთავაზობ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის, ბატონ ზვიად სიჭინავას ხელშეწყობით გამოცემულ კრებულს ცნობილი თავდამსხმელების, ძმების გივი და ლევან ნოდიების შესახებ. ქუთაისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილებმა ჯერ ადგილობრივ „ტორპედოში“, შემდგომ თბილისის „დინამოში“ გამოსვლისას ღრმა კვალი დატოვეს სპორტის უპირველესი სახეობის განვითარების საქმეში.

გივი და ლევანი როგორც ტყუპები, ისე იზრდებოდნენ. მშობლები მათთვის ყოველთვის ერთნაირს ყიდულობდნენ. ფეხბურთზეც ერთად მიიღო კარლო ხურციძემ, რომელიც იმ დროს ქუთაისის „ტორპედოს“ სტადიონთან არსებულ ბავშვთა სკოლას თავკაცობდა. ეს იყო ადამიანი, რომელიც მთლიანად თავისი საყვარელი თამაშის ტყვეობაში იმყოფებოდა და კარგადაც ერკვეოდა მის ნიუანსებში. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს: როდესაც საბჭოთა ფეხბურთში შემოვიდა 4-2-4, კ. ხურციძის შეგირდებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ეს ცნობილი ბრაზილიური სისტემა. ყველაფერთან ერთად კ. ხურციძე მოზარდებს ასწავლიდა ყოფილიყვნენ პატიოსნები როგორც მეგობრების, ასევე მეტოქეთა მიმართ“, – ვკითხულობთ ქართული ფეხბურთის ღვაწლმოსილი მემატიანის, აღნიშნული კრებულის შემდგენლის დემიკო ლოლაძის წინასიტყვაობაში.

ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონები, საკავშირო პირველობათა მრავალგზის პრიზიორები, სსრკ თასის გათამაშების ფინალისტები, არაერთი ინდივიდუალური პრიზის მფლობელები და ევროპის საკლუბო ტურნირებში დინამოელთა სადებიუტო გამოსვლის მონაწილენი დიახაც იმსახურებდნენ შემოთავაზებული სტრიქონებით უკვდავყოფას. დიდი მადლობა ამისათვის, ძვირფასო ბატონო დემიკო.

გილოცავთ მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს და გისურვებთ კიდევ ბევრი თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებას!

გია პლატონიშვილი

◎ რაგბი

ფორუმის კონტურები

2015 წლის მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტმა – „ინგლანდ რაგბიმ“ გამოაქვეყნა იმ 41 ბაზის ნუსხა, რომლებსაც მონაწილე გუნდები 2015 წლის 18 სექტემბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით გამოიყენებენ.

ბაზების შერჩევა ღია ტენდერის საფუძველზე, 2013 წლის აპრილში დაიწყო. ტენდერის პერიოდში 100-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა.

2015 წლის მსოფლიო თასის ბაზები შედგება გარე და შიდა სავარჯიშო ობიექტებისგან, საცურაო აუზისგან, სპორტული დარბაზისა და სასტუმროსგან. ობიექტებმა უნდა უპასუხონ საერთაშორისო სტანდარტებს და უნდა მდებარეობდნენ ერთ ტერიტორიაზე ან ერთმანეთთან ახლოს უნდა იყვნენ განლაგებული. სელექციის პროცესში საორგანიზაციო კომიტეტმა სამატჩო მოედნების ადგილმდებარეობაც გაითვალისწინა.

რიგი სარაგბო კლუბების, სკოლების, უნივერსიტეტებისა და სპეციალიზირებული სავარჯიშო ობიექტებისა ტურნირის მსვლელობისას მონაწილე 20 ნაკრებისათვის იქნება ხელმისაწვდომი.

„ინგლანდ 2015-ის“ აღმასრულებელი დირექტორის დები ჯევანსის თქმით: „როგორც მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტმა, ისევე ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ტურნირის განმავლობაში ყველა გუნდს ჰქონდეს ოპტიმალური სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობები. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის დიდი პატივია 41 ოფიციალური ბაზის დასახელება.

მე ასევე მინდა მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ბაზების შერჩევის პროგრამაში მონაწილეობდა. ბედნიერნი ვართ იმით, რომ მთელს ქვეყანაში ფანტასტიური ბაზების შერჩევა მოვახერხეთ და ეს დიდი ენთუზიაზმით შესრულდა. შეირჩა 41 მაღალი ხარისხის სამწვრთნელო ობიექტი, რომელიც გუნდებს სახლიდან შორს თავს ისე აგრძნობინებს, როგორც – საკუთარ სახლში.“

რაგბის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარემ ბერნარ ლაპასემ დაამატა: “2015 წლის მსოფლიო თასი სამუდამოდ დარჩება მოთამაშეებისა და ქომაგების გულებში. აქედან გამომდინარე, მიხარია, რომ მონაწილეებისათვის შეირჩა საუკეთესო ბაზები. დეტალების მიმართ დიდი ყურადღება გამოარჩევს ამ მსოფლიო თასს და გადაიყვანს სულ სხვა დონეზე. შესაბამისად, გუნდების ბაზები ისე შეირჩა, რომ მონაწილეებს ხელმისაწვდომი ჰქონდეთ ყველაფერი, რაც მათ დასჭირდებათ, რათა მსოფლიოში რაგბის ყველაზე დიდ ფორუმზე თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი წარმოაჩინონ“.

მილტონ ჰეიგი (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „მსოფლიო თასი რაგბის უდიდესი ფორუმია და ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ ბინას დავიდებთ მასპინძელი ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც რაგბი განსაკუთრებულად უყვართ. გარდა ამისა, ჩვენ მოგვეცემა ამ რეგიონების სტუმართმოყვარეობისა და კულტურის გაცნობის უნიკალური შესაძლებლობა“.

გიორგი ნიჟარაძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი): „რაგბის მსოფლიო თასში მონაწილეობა ჩვენთვის დიდი პატივია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ 2015 წლის ინგლისის მსოფლიო თასი საუკეთესო იქნება აქამდე გამართულ მსოფლიო თასებს შორის. დიდი ბედნიერებაა, მონაწილეობდე მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს სპორტულ ფორუმში, რომელიც რაგბის სამშობლოში იმართება. მჯერა, რომ ყველა იმ რეგიონში, სადაც საქართველოს ნაკრები ბინას დაიდებს, ივარჯიშებს თუ ითამაშებს, ადგილობრივი სარაგბო თემი „ბორჯღალოსნებს“ დაუდგება მხარში და უქომაგებენ“.

კობა კობახიძე

◎ ფეხბურთი

ლუის ვან გაალი: ჩვენ „ფილოსოფიას“ დრო სჭირდება...

ინგლისის ლიგის თასზე პირველი დივიზიონის „მილტონთან“ სამარცხვინო წაგების (0:4) შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა გულშემატკივრებს მოთმინებისკენ მოუწოდა.

„გულშემატკივრებმა ჩვენი ფილოსოფია უნდა ირწმუნონ. ჩვენ გუნდს ვაშენებთ, რის გაკეთებაც, ერთ თვეში ან ერთ წელიწადში შეუძლებელია. რა თქმა უნდა, შედეგი ძალიან გულდასაწყვეტია, მაგრამ იმედია, ქომაგები კლუბის და ჩვენი ფილოსოფიის მიმართ ნდობას შეინარჩუნებენ, რადგან ამ ფილოსოფიას დრო სჭირდება.

არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ 9 ფეხბურთელი ტრავმირებულია და ძალიან ახალგაზრდა გუნდით ვითამაშეთ. არ გაგვიმართლა, ვინაიდან მეტოქეს გოლები ჩვენი შეცდომების შემდეგ გაჰქონდა და მუდმივად იძულებული ვიყავით, ანგარიშის გათანაბრებაზე გვეფიქრა“, – განაცხადა ვან გაალმა Sky Sports-თან საუბარში.

გიორგი შოთაძე

სულთათანა

რამინ გობეჯიშვილი

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, გლაციოლოგი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი **რამინ გრიგოლის ძე გობეჯიშვილი**.

დაიბადა 1941 წლის 15 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზნარაში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1964 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1980-86 წლებში იყო ინსტიტუტის აეროკოსმოსური მეთოდების ლაბორატორიის, ხოლო 1986 წლიდან – გლაციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 2000 წლიდან გეომორფოლოგიის განყოფილების გამგე. 2005 წელს დაინიშნა ინსტიტუტის დირექტორად, შემდეგ იყო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1995 წლიდან მუშაობდა თსუ-ს კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე პროფესორად, შემდეგ იყო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგია-კარტოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

1968-72 წლებში მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლისას წარმატებით მუშაობდა თემაზე „მთიანი რეგიონების თანამედროვე რელიეფწარმომქმნელი პროცესების კვლევა სტერეოფოტოგრამმეტრიული მეთოდით“, ახალგაზრდა მეცნიერმა პირველად საქართველოში კვლევისთვის გამოიყენა აეროკოსმოსური და სტერეოფოტოგრამმეტრიული მეთოდი.

1995 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „საქართველოს თანამედროვე მყინვარები და ევრაზიის მთებში გამყინვარების ევოლუცია გვიანპლეისტოცენსა და ჰოლოცენში“, რომელშიც მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოდგენილია კავკასიის და ევრაზიის კონტინენტის მყინვართა დინამიკა, ასევე კვლევის ახალი მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო ძველი გამყინვარების რეკონსტრუქციას. ქართველ მეცნიერთა შორის რამინ გობეჯიშვილი არის პირველი მკვლევარი, რომელმაც შეისწავლა სვალბარდის(შპიცბერგენის), ჰიმალაისა და ტიბეტის გამყინვარებისა და გეოდინამიკური პროცესები. მეცნიერს კვლევები ჩატარებული აქვს აგრეთვე პამირის, ტიან-შანის, ალტაის, კამჩატკის, ქოპეთდაღის და აღმოსავლეთ ანატოლიის (ჯილოს) მთებში. ექსპედიციების მიზანი მყინვარების შეწავლა და გეოგრაფიული პროცესების გამოკვლევა იყო.

რ. გობეჯიშვილი 140-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 8 მონოგრაფიის („საქართველოს რელიეფი“, „საქართველოს მყინვარები“, „გლაციოლოგია“ და სხვ.) ავტორია, რომელთა უმეტესობა ეხება საქართველოს და უცხოეთში არსებული მყინვარების თანამედროვე დინამიკას, ძველი გამყინვარების რეკონსტრუქცია-ევოლუციას, რელიეფის კვლევას, ეგზოდინამიკურ პროცესებს. მის მიერ შედგენილი რუკები მოთავსებულია „მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში“ (1997).

ღვაწლმოსილი მეცნიერი მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა თუ სიმპოზიუმში. მნიშვნელოვანია მისი მუშაობა საერთაშორისო პროგრამებშიც, რომელთა შორის აღსანიშნავია WWF -ის პროგრამა, რომელშიც მოამზადა ანგარიში აღმოსავლეთ კავკასიისა და ივრის ზეგნის რელიეფის შესახებ, ასევე ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტს „საქართველოს ეროვნული ატლასი“, INSAI-ის გრანტს „კავკასიაში კლიმატის ცვლილებები და მყინვარების დინამიკა“ და სხვა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ამაგდარ მეცნიერს სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდასა და ნამდვილ მკვლევარებად ჩამოყალიბებაში.

რ. გობეჯიშვილი იყო რუსეთის გლაციოლოგთა ასოციაციის ნამდვილი წევრი (1985 წლიდან).

1998 წლიდან დღემდე იყო საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1996-2008 წლებში – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. დარგში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის 2000 წელს გადაეცა ღირსების ორდენი.

თვალსაჩინო მეცნიერის რამინ გობეჯიშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული მეცნიერების ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
ალ. ჯავახიშვილის სახელობის
საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება.

რუსთაველის სახელობის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თეატრის ყოფილი დირექტორი, ქართული კულტურის მოამაგე

თემურ ჟლენტი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

სამსახურის ყოფილი უფროსი პასუხისგებაში მისცეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფოს კუთვნილი 508 310 ლარის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში დახმარებისათვის, ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის ყოფილი უფროსი პაატა აცინბა, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, ასევე, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა შპს „თექ ევ ინშაათ დექორასიონ თაჰჰუთ იჩ ვე დიშ თიჯარათ ლიმითედ შირქეთის“ დირექტორი ჰალილ ექში და ტექნიკური დირექტორი გიორგი ოდიშვილი.

– გამოძიებით დადგენილია, რომ 2012 წლის 18 მაისს აღნიშნულ შპს-სა და ბათუმის მერიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება 2 749 988 ლარზე, ბათუმში ნინოშვილის ქუჩის გასწვრივ სანიაღვრე არხის რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციებით მოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად, რა დროსაც, საწარმოს ხელმძღვანელი პირების მიერ წარდგენილი ყალბი შესრულებული სამუშაოების აქტები, ანგარებითი მიზნით დაამოწმა პაატა აცინბამ და ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურს წერილობით მიმართა ხსენებული კომპანიის დაფინანსების შესახებ, რითაც ბიუჯეტს წაგლიჯეს 508 000 ლარი, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ჩვენი კარაბადინი

არც კვამლი, არც ცეცხლი

საინტერესო იდეები მოწევასთან ბრძოლისთვის

მოწევაზე უარის თქმა – დღეს საერთო მსოფლიო ტენდენციაა. და, მართალია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ანტითამბაქოს კანონები ერთმანეთს ჰგავს, ყოველი ქვეყანა ცდილობს, მონახოს თავისი, ორიგინალური მიდგომა იმისადმი, თუ როგორ შეამციროს ნიკოტინზე დამოკიდებულ ადამიანთა რიცხვი. ზოგიერთი პროექტი ძალიან საინტერესოა – შეიძლება მათ მიაქციო ყურადღება.

დროა, გავათავისუფლოთ ქალაქები

ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი მთელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება და დღეს დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტია. რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მტკივნეული ხდება მისი მოსახლეობის ჯანმრთელობა: დაბინძურებული ჰაერი, ხმაურიანი ქუჩები, ფასტფუდის სიუხვე, ცხოვრების ნაკლებად მოძრავი წესი და ბევრი არაჯანსაღი წეს-ჩვეულება. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული ადგილი მოწევას უკავია: იგი სერიოზულ დაავადებათა და ვადამდელი გარდაცვალების ძირითად თავიდან ასაცილებელ მიზეზადაა მიჩნეული. მაშასადამე – საჭიროა სულ უფრო აქტიური მოქმედება თამბაქოს მოხმარების დონის შემცირებისათვის. ქალაქებმა, რომლებმაც უკვე განახორციელეს საკუთარი ანტითამბაქოს პროგრამები თავიანთი მცხოვრებლებისათვის, ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება თამბაქოს უკვამლო ქალაქების ალიანსის პირველ სამიტზე.

ასეთი ალიანსის შექმნის ინიციატორი დანიის სამეფოს დედაქალაქი კოპენჰაგენი გახდა. ქალაქის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მათი ქალაქი თამბაქოს კვამლისაგან თავისუფალი უნდა იყოს 2025 წლისათვის. ეს ნიშნავს, რომ ამ დროისთვის მის მცხოვრებთა შორის მწეველი უნდა იყოს არაუმეტეს 4 პროცენტისა.

ალიანსის მთავარი მიზანია – დაიცვან ბავშვები მოწევისაგან. მწეველებს კი მისცენ მაქსიმალური შეღწევის შესაძლებლობა მავნე ჩვევების თანამედროვე პროგრამებსა და საშუალებებში.

ალიანსის პირველი მონაწილე ქალაქები გახდნენ დანიის უდიდესი ქალაქები, რომლებმაც მიბაძეს კოპენჰაგენის მაგალითს, აგრეთვე ქალაქებმა მსოფლიოს იმ სხვა ქვეყნებიდან, როგორებიც არიან: ნორვეგია, ფინეთი, სლოვენია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ავსტრალია, არგენტინა, ფილიპინები, უკრაინა, რუსეთი. სამიტში ასევე მიიღეს მონაწილეობა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ და ევროპარლამენტმა.

სასარგებლო გამოცდილება

ალიანსის შეხვედრაზე ისაუბრეს ათობით წარმატებულ ანტითამბაქოს პროექტზე. აი ზოგიერთი მათგანი (ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის ეს საინტერესო უნდა იყოს – „სრ“ რედ).

ნოტინგემი, ბრიტანეთი

ამ ქალაქში ამოქმედდა პროექტი „საბავშვო მოედნები თამბაქოს კვამლის გარეშე“. მათმა ავტორებმა გადაწყვიტეს: სათამაშო მოედნებზე ბავშვებისთვის დადგან სპეციალური ნიშნები, რომლებიც აფრთხილებენ ბავშვების მშობლებს ბავშვების გვერდით მოწევის მავნებლობის შესახებ. ამ ნიშნების დიზაინის დამუშავება სთხოვეს... თავად პატარებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის კანონით სათამაშო და სასკოლო მოედნებზე მოწევა აკრძალული არ ყოფილა, ახალ ნიშნებს კი ჰქონდათ სარეკომენდაციო ხასიათი, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მხარი დაუჭირეს ნიშნებს და დაიწყეს ამ რეკომენდაციების შესრულება.

ბუენოს-აირესი, არგენტინა

აქ პროგრამამ თამბაქოს მოხმარების შემცირების დონის შესახებ სტარტი აიღო ჯერ კიდევ 2008 წელს. ახლა მის ფარგლებში მიმდინარეობს კონკურსი. მისი მონაწილეები – ქალაქის მცხოვრებლები – გვიყვებიან თავიანთ რეალურ ისტორიებს იმის შესახებ, თუ როგორ შეძლეს დაენებებინათ თავი მოწევისათვის. ნიკოტინზე დამოკიდებულებაზე უარის თქმის 15 ყველაზე ნათელი საშუალება გამოქვეყნდება, და მათ ათასობით ადამიანი წაიკითხავს.

ლივერპული, მანჩესტერი და ინგლისის ჩრდილო-დასავლეთის სხვა ქალაქები

მოწევასთან ბრძოლისათვის აქ აამუშავეს რამდენიმე მედიაკომპანია. ერთ-ერთი მათგანია – „გადადგი 7 ნაბიჯი“. ესაა ვიდეორგოლი, რომელიც გვიამბობს იმის შესახებ, თუ რატომ არ შეიძლება ბავშვების გვერდით მოწევა. კადრშია გოგონა, რომელიც სახლის წინ ხატავს პატარა კლასებს 7 ციფრისგან თავისი დედისთვის. თამაშით გატაცებული დედა დახტის შორს ქალიშვილისაგან და, როდესაც აღმოჩნდება ციფრზე „7“, იწყებს მოწევას. ეს კამპანია დაეხმარა ბევრ ადამიანს გაეგო პასიური მოწევის შედეგები და შეეცვალა თავისი ყოველდღიური ქცევა.

მელბურნი, ავსტრალია

მელბურნის ერთ-ერთ ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე – კოზვეის გასასვლელზე, სადაც უამრავი მაღაზია, კაფე და ბარია, სტარტი აიღო პილოტურმა პროექტმა „ისუნთქე მშვიდად“. ექვსი თვის განმავლობაში ქუჩის მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნა აკრძალვა მოწევაზე. ქალაქის მცხოვრებთა 80 პროცენტმა მხარი დაუჭირა პროექტს და უახლოეს პერიოდში ამგვარი ინიციატივები ტესტირებული იქნება მელბურნის სხვა რაიონებშიც. საინტერესოა, რომ 2016 წლისთვის ხელისუფლება აპირებს მთლიანად აკრძალოს მოწევა ქალაქის ცენტრში, რაც მსოფლიოში პირველი ასეთი შემთხვევა იქნება.

ირლანდიის ქალაქები

აქ მოწყობილი კამპანია სახელწოდებით QUIT (ინგლისურად – „დაანებო“, „გათავისუფლდე) – მოწევაზე უარის თქმის პროგრამის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია. მისი მსვლელობის დროს მოჰყავდათ იმ რეალური ადამიანების ისტორიები, რომლებიც დაზარალდნენ იმის გამო, რომ ეწეოდნენ.

დღეისათვის კამპანიამ უბიძგა დაახლოებით 540 000 მწეველს უარი თქვას მავნე ჩვეულებაზე. მათ კი, ვინც ჯერ ისევ ფიქრობს, რომ გათავისუფლდეს თამბაქოსგან დამოკიდებულებაზე, შეიძლება, დაეხმაროს მოკლე დოკუმენტური ფილმი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გადაიღეს და გვიამბობს ყოფილ ფეხბურთელ ჯერი კოლინზზე და მის ოჯახზე. 2013 წლის ზაფხულში ჯერიმ გაიგო, რომ მას ფილტვის კიბოს უკანასკნელი სტადია ჰქონდა. ის ამ ზაფხულს გარდაიცვალა – ფილმის გადაღების დამთავრებამდე.

ЗДОРОВЬЕ

◎ თითქმის დაუჯერებელი...

ამბავი, რომელმაც წლების წინათ მთელი საბჭოთა კავშირი შეძრა...

წლების წინათ მთელი საბჭოთა კავშირი ლაპარაკობდა ქართველი ქირურგის რამაზ დათიაშვილის მიერ ჩატარებულ უნიკალურ ოპერაციაზე და მის მიერ გადარჩენილ ლიტველ გოგონაზე.

საბჭოთა ლიტვაში ერთი პატარა გოგონა ცხოვრობდა, რომელსაც რასა ერქვა. რასას მამა ჩვეულებრივი ტრაქტორისტი იყო: ის კომბაინზე მუშაობდა. პატარა გოგონა უზრუნველად და ლაღად იზრდებოდა, სანამ 1983 წლის ივლისის დღე მისთვის საბედისწეროდ არ დამთავრდა: ყანაში მოთამაშე გოგონას მამამ კომბაინის ბასრი ცელით შემთხვევით ორივე ფეხის ტერფი მოაჭრა. სამი წლის გოგონას უეჭველი დაღუპვა ელოდა სისხლის დაკარგვისა და ტრავმული შოკისაგან. სოფელში არც ტელეფონი იყო და არც სასწრაფო დახმარების სადგური... მაგრამ იმის წყალობით, რომ მთელი ლიტვა და მოსკოვი ფეხზე დადგა ბავშვის გადასარჩენად, მოხდა სასწაული — 12 საათის შემდეგ ლიტველი ტრაქტორისტის პატარა გოგონა მოსკოვის ერთ-ერთი საავადმყოფოს საოპერაციო მაგიდაზე იწვა.

თვითმფრინავი ТУ-134, რომელიც ივლისის იმ ავბედით ღამეს ლიტვის ცაში აიჭრა, საგანგებო რეისს ასრულებდა: დისპეტჩერებმა იცოდნენ, რომ მის ბორტზე ფეხებმოჭრილი სამი წლის გოგონა იმყოფებოდა, ამიტომ გულმოდგინედ ცდილობდნენ, საჰაერო კორიდორი გაეთავისუფლებინათ თვითმფრინავისათვის. თეთრ ზეწარში შეხვეული პატარა რასა მოთმინებით ელოდა შველას, მის გვერდით სავარძელში კი გაყინული თევზით სავსე ყუთში მოჭრილი ფეხის ტერფები ეწყო.

მოსკოვის აეროპორტში თვითმფრინავს უკვე ელოდა „სასწრაფო დახმარების“ მანქანა, ხოლო ბავშვთა ქირურგიული განყოფილების მისაღებში ახალგაზრდა ქირურგი რამაზ დათიაშვილი მოუთმენლად ელოდა პაწაწინა პაციენტის მოსვლას.

შემდგომში ქირურგი იხსენებდა: „ხელმძღვანელობა კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამ ოპერაციის ჩატარების: ასეთი ოპერაციის პრეცედენტი საბჭოთა კავშირში ჯერჯერობით არ არსებობდა. ცუდი რამ რომ მომხდარიყო, კარგი დღე არ მელოდა, ტრაგედიის მომენტიდან უკვე 12 საათი იყო გასული, მაგრამ მე გადავწყვიტე გამერისკა“.

და აი, პატარა რასა საოპერაციო მაგიდაზეა, დათიაშვილი ფეხებს ითხოვს: — სადაა ფეხები? — ყვირის ის... ყუთიდან ამოღებულ პაწაწინა ფეხის ტერფებს გამდნარი თევზი ამოყვა და საოპერაციოს იატაკზე დავარდა...

„ოპერაცია ერთი ამოსუნთქვით ჩატარდა: ერთიმეორის მიყოლებით ვაკერებდი ერთმანეთს თითოეულ ძარღვს, თითოეულ მყესს, არტერიებს, ნერვებს, კუნთებს“, — იხსენებდა ქირურგი.

ოთხი დაძაბული საათის შემდეგ რამაზს მარტო მოუხდა ოპერაციის გაგრძელება, მისმა თანაშემწეებმა ვერ გაუძლეს ასეთ ნერვულ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას. ის მარტო განაგრძობდა კერვას — კიდევ ერთი მყესი, ნერვი და... ოპერაციაც დასრულდა. 9-საათიანი დაძაბული ოპერაციის შემდეგ, როცა ახალგაზრდა ქირურგი უკანასკნელ ნაკერებს ადებდა, პაწაწინა ფეხები მის ხელში გათბა და მაშინ რამაზ დათიაშვილი მიხვდა, რომ მან გაიმარჯვა.

ბევრ თქვენგანს ემახსოვრება, თუ როგორ თანაუგრძნობდა პატარა რასას მაშინ მთელი საბჭოთა კავშირი. ამბობენ, რომ როცა გოგონამ პირველი ნაბიჯები გადადგა, ქირურგი რამაზ დათიაშვილი სიხარულისგან ატირდა.

ამჟამად რასა ცხოვრობს და მუშაობს გერმანიაში, მას არასოდეს დაავიწყდება ახალგაზრდა ქირურგი, რომელმაც ის სიკვდილისაგან ან უკიდურეს შემთხვევაში, სამუდამო ინვალიდობისგან იხსნა.

ინტერნეტის მასალებით მოამზადა
თეა მოსიამ

საქართველო ჭრაღიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია „ფერდის“ და „სალხინოს“ ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება „ფერდის“ და „სალხინოს“ კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში — 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

„ფერდი“ და „სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

განცხადება

ინფორმაცია შპს „გურჯისტანის“ პარტნიორებისთვის

2014 წლის 1 სექტემბერს 17 საათზე ტარდება შპს „გურჯისტანის“ პარტნიორთა კრება. მის. ფალიაშვილის 11 ა, ნოტარიუსი ბაჩანა შენგელია.

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 30 აგვისტოს

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მიხო, ასე გამეტებით ვინ ჩაგილურჯა თვალები?

— გუშინ საქორწინო მოზაურობიდან დაბრუნებულ ჩემს ძმაკაცს შევხვდი და...

— მერე რა?

— რა და, მე დავიყოლიე იგი დაქორწინებაზე.

* * *

წინა დღით გათხოვილი გოგო დედამისს ურეკავს:

— დედი, პეტკამ ჩაის ადუღება მთხოვა, სამზარეულო რეცეპტების წიგნში კი ამაზე არაფერი არ წერია.

* * *

— აბრამ, ძვირი გიჯდება შენი სარასთვის ფორტეპიანოს გაკვეთილები?

— ძვირი მიჯდება კი არა, პირიქით. სწორედ ამ გაკვეთილების წყალობით მეზობლის ბინა ნახევარ ფასად შევიძინე.

* * *

— ძვირფასო, ივან და სვეტა! მიიღეთ ეს კონვერტი ჩვენგან საქორწინო საჩუქრად.

— გმადლობთ! ოი, რა მძიმეა!

— მძიმე იქნება, აბა, როგორ, შიგ უთო დევს!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქოგულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24